


გიორგი მაჭარაშვილი

**„გრიგოლ ნოკესარიელის
ცხოვრების“ სირიული
რედაქციის ქართული
თარგმანი**





G. TSERETELI INSTITUTE OF ORIENTAL STUDIES

GIORGI MACHARASHVILI

**A GEORGIAN TRANSLATION OF THE SYRIAC
VERSION OF *THE LIFE OF ST. GREGORY
THAUMATURGUS***



ILIA STATE UNIVERSITY
2022

ბ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

გიორგი მაჭარაშვილი

„ბრიტოლ ნეოკესარიელის ცხოვრების“
სირიული რელაქციის ქართული
თარგმანი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
2022

შუა საუკუნეებში სირიულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ არაერთი ნაშრომი არსებობს. მიუხედავად ამისა, დღემდე არ გამოვლენილა ჰაგიოგრაფიული ტექსტი, რომელზეც დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ უშუალოდ სირიულიდან არის ქართულად თარგმნილი. „გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების“ სირიული რედაქციის ქართული თარგმანიც ასეთ თხზულებათა რიცხვს მიეკუთვნება. ეს არის ქართული ტექსტის პირველი პუბლიკაცია.

რედაქტორი:
რუსუდან ლაბაძე
ისტორიის დოქტორი



წიგნი გამოიცა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [SP-2-21-524]
This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [SP-2-21-524]

© 2022 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
G. Tsereteli Institute of Oriental Studies of the Ilia State University
აკად. გ. წერეთლის 3, 0162 თბილისი, საქართველო
3, Acad. G. Tsereteli Str., 0162 Tbilisi, Georgia

ISBN: 978-9941-18-412-3

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო
ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

წიგნი დაკაბადონდა და დაიბეჭდა სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის“ მიერ მარჯანიშვილის ქ. №5

დიდი სიკვარულითა და მადლიერებით
უძღვნი ზემ მასწავლებლებს

შინაარსი

| | |
|---|----|
| „გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების” სირიული რედაქციის ქართული თარგმანი..... | 9 |
| 1. შესავალი..... | 9 |
| 2. გრიგოლ ნეოკესარიელი ქართულ სასულიერო მწერლობაში..... | 11 |
| 2.1. „გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების” ქართული თარგმანები და მათი შესწავლის ისტორია..... | 11 |
| 2.2. გრიგოლ ნეოკესარიელის თხზულებები ქართულ ენაზე | 14 |
| 3. მოკლე ცნობები სირიული რედაქციის ქართული თარგმანის შემცველი ხელნაწერის შესახებ | 16 |
| 4. სირიული რედაქცია და მისი მიმართება ბერძნულთან | 18 |
| 4.1. სირიული რედაქცია (ავტორი, თარიღი, წყაროები, ხელნაწერები, თარგმანები, პირველი გამოცემები) | 18 |
| 4.2. განსხვავებები სირიულ და ბერძნულ რედაქციებს შორის | 20 |
| 5. ურთიერთმიმართება სირიულ რედაქციასა და მის ქართულ თარგმანს შორის | 23 |
| 6. თხზულებაში ასახული ისტორიული სინამდვილე | 27 |
| 7. რომელი ენიდან და როდის ითარგმნა სირიული რედაქცია ქართულად | 30 |
| 7.1. შესაძლებელია თუ არა, რომ ეს ტექსტი უშუალოდ სირიულიდან იყოს ნათარგმნი | 30 |
| 7.2. როდის შეიძლება ეთარგმნათ ეს ტექსტი | 31 |
| 8. ქართული ხელნაწერის ტექსტის ზოგიერთი თავისებურება | 33 |
| ტექსტისათვის | 34 |
| ცხორებად და განგებად წმიდისა გრიგოლისი, ეპისკოპოსისაჲ [კესარიისა] ახლისაჲ | 37 |

| | |
|---|----|
| შენიშვნები..... | 56 |
| ლექსიკონი | 58 |
| საძიებლები..... | 69 |
| ა) პირთა სახელთა საძიებელი..... | 69 |
| ბ) გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა საძიებელი..... | 71 |
| ლიტერატურა | 72 |
| პოლ ბეჯანის გამოცემული სირიული ტექსტი | 77 |

„ბრიტოლ ნეოქესარიელის ცხოვრების“ სირიული რელაქსიის ქართული თარგმანი

1. შესავალი

ტექსტმა, რომელსაც ვაქვეყნებთ ამ წიგნში, თავდაპირველად ჩვენი ყურადღება მისი სათაურის გამო მიიპყრო. „ცხოვრება და განგება წმიდისა გრიგოლისი, ეპისკოპოსისა ახლისადა“, ასე არის იგი დასათაურებული XIII საუკუნის ერთადერთ ხელნაწერში (A90), სადაც იგი შემორჩა. ამ ტექსტის შემცველი სხვა ხელნაწერი ვერ-ვგვხვდებით არ გამოვლენილა [გაბიძაშვილი 2004: 165].

ჩვენ ვიფიქრეთ, რომ შესაძლოა ეს ყოფილიყო გიორგი ათონელის „დიდ სვინაქსარში“ მოხსენებული გრიგოლ პანიდელი ეპისკოპოსის ცხოვრება, რადგან ისიც „ახლად“ იწოდება. ასე ვიფიქრეთ, რადგან XIII საუკუნემდე მოღვაწე სხვა გრიგოლი ასეთი ზედწოდებით ცნობილი არ არის¹.

გიორგი ათონელის „დიდ სვინაქსარში“ გრიგოლ პანიდელის ხსენება 19 ივლისს არის ჩაწერილი: „ამასვე დღესა წმიდისა გრიგოლ პანიდელ ეპისკოპოსისა, ახლისა აღმსარებელისადა“ [ჭელიძე 2001: 116, 223; დოლაქიძე... 2017: 297]. სხვა ცნობა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მასში წარმოდგენილი არაა. ამის მიზეზი, როგორც ჩანს, ის არის, რომ ბერძნულ წყაროებში, რომლითაც გიორგი ათონელმა ისარგებლა „დიდი სვინაქსარის“ შედგენისას, მის შესახებ მეტი არაფერი ეწერა. და მართლაც, დიდი ეკლესიის ტიპიკონსა (IX-X სს.) და კონსტანტინოპოლის ეკლესიის სვინაქსარში (X ს.) გრიგოლ პანიდელი ეპისკოპოსის შესახებ აღნიშნულია მხოლოდ ის, რომ ის არის ახალი აღმსარებელი, რომელიც ხატმებრძოლობის დროს მოღვაწეობდა. სულ ეს არის, სხვა ცნობები მის შესახებ ბერძნულ წყაროებშიც არ იძებნება. მისი მოღვაწეობის ზუსტი დრო და მისი ეპარქიის ადგილმდებარეობა დანამდვილებით ცნობილი არ არის [Χαραμαντίδης; Григорий 2006: 534-535].

ზედწოდება „ახალი“ ძირითადად მიანიშნებს ხოლმე იმაზე, რომ ჰაგიოგრაფიული პერსონაჟის ცხოვრება თუ წამება, ანდა მისდამი მიძღვნილი შესხმა თუ

¹ სხვა გრიგოლ ახალი, ათონის მთის გრიგორიატის მონასტრის დამაარსებელი, უფრო გვიანდელი მოღვაწეა, XIII საუკუნის ხელნაწერში მის ცხოვრებას ვერ შეიტანდნენ [Григорий Новый 2006: 725-727].

ჰიმნოგრაფიული კანონი მისი გარდაცვალებიდან მოკლე დროში დაიწერა. ამრიგად, ჩვენ ვიფიქრეთ, რომ XIII საუკუნის ქართულ ხელნაწერში, შესაძლოა, გამოვლენილიყო დაახლოებით IX-X საუკუნეებში დაწერილი და შემდეგ დაკარგული ბიზანტიური ჰაგიოგრაფიული თხზულების ქართული თარგმანი.

როგორც კი დავიწყეთ ტექსტის შესწავლა მალევე გაირკვა, რომ იგი წარმოადგენს გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრებას. ცხადი გახდა ასევე, რომ სათაურში ვინმე გრიგოლი ახალი ეპისკოპოსის ნაცვლად გრიგოლი ახალი კესარიელი ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო ნახსენები (ეტყობა გადამწერს დამიანებული დედანი შეხვდა).

ამრიგად, მართალია მრავალი საუკუნის წინ დავიწყებული ჰაგიოგრაფიული პერსონაჟის თავგადასავალს ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ტექსტი მნიშვნელოვნად განსხვავდება გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების, უფრო სწორად პანეგირიკის, ბერძნული რედაქციის ქართული თარგმანებისგან. როგორც გაირკვა, იგი თითქმის ზუსტად მისდევს სირიულ რედაქციას, რომელსაც ჩვენ ნიკოლაი საგარდას რუსული თარგმანით გავეცანით [Сагарда 1912: 1139-1141].

2. გრიგოლ ნემოქსარიელი ქართულ სასულიერო მწერლობაში

2.1. „გრიგოლ ნემოქსარიელის ცხოვრების“ ქართული თარგმანები და მათი მუსწავლის ისტორია

გრიგოლ საკვირველმოქმედის ცხოვრება-პანეგირიკი ქართულ ენაზე დიდი ხნის მანძილზე ბერძნული რედაქციით იყო ცნობილი, რომლის ავტორია გრიგოლ ნოსელი¹. აღნიშნული თხზულების ორი ქართული თარგმანი გვაქვს. ერთი, ეფრემ მცირის ცნობით, ეკუთვნის გიორგი ათონელს, ხოლო მეორე თვითონ ეფრემს². გარდა ამისა, გვქონია ასევე „გრიგოლ საკვირველმოქმედის ცხოვრების“ სირიული რედაქციის ქართული თარგმანი, რომელიც ბოლო დრომდე ცნობილი არ იყო³.

ბერძნული რედაქციის გიორგი ათონელის მიერ შესრულებული თარგმანი წარმოდგენილია ოთხ ხელნაწერში: **A55** (XI-XII სს.), 58r-73r; **A108** (XII ს.), 132r-135v, 136v-143v; **Ath. 14** (დაახლ. XIV-XVI სს.), 222v-245v; **Ath. 49** (XII ს.), 54r-65v [კოჭლამაზაშვილი 2009: 380; გაბიძაშვილი 2004: 168; გაბიძაშვილი 2009: 122-123].

უფრო მეტი ხელნაწერით არის შემორჩენილი ეფრემ მცირისეული ტექსტი: **A128** (XII-XIII სს.), 133r-175v; **A382** (XV ს.), 219v-235v; **A394** (XVIII ს.), 38r-57r; **H2350** (XVIII ს.), 28v-42v; **S139** (XVIII-XIX სს.), 207-260; **S384** (XI-XII სს.), 337v-260v; **S3661** (XVIII-XIX სს.), 31r-43r; **Jer. 37** (XIII-XVI ს.), 204v-229v [კოჭლამაზაშვილი 2009: 380; გაბიძაშვილი 2004: 166-167; გაბიძაშვილი 2009: 123]⁴.

- 1 ბერძნული რედაქციის ტექსტის ერთ-ერთი ბოლო აკადემიური გამოცემა ეკუთვნის გიუნტერ ჰაილს ფრანგული თარგმანითა და გამოკვლევით [SC 573]. ბოლო პერიოდის მნიშვნელოვანი პუბლიკაციებიდან უნდა დავასახელოთ ასევე ელისონ გრისის მონოგრაფია [Gray 2021].
- 2 ექვთიმე კოჭლამაზაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ეფრემ მცირემდე ეს თხზულება ექვთიმე ათონელს უნდა ეთარგმნა და არა გიორგი ათონელს [კოჭლამაზაშვილი 2009: 382-387].
- 3 მოკლე მითითებას მის შესახებ, ინფორმაციის წყაროს დასახელების გარეშე, ვხვდებით მიშელ ვან ეს-ბროკთან [Esbroeck 2004: 3], ასევე „Православная Энциклопедия“-ში [Никифоров... 2006: 75]. ეს ფაქტი ჩვენთვის ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ქართული ხელნაწერის ტექსტის გამოსაცემად მომზადება დაიწყო.
- 4 ხელნაწერთა აღწერილობებში, ე. გაბიძაშვილის ბიბლიოგრაფიებსა და ე. კოჭლამაზაშვილის გამოცემაში ხელნაწერების გვერდები ზოგჯერ ერთმანეთს არ ემთხვევა. ჩვენ უპირატესობა ე. კოჭლამაზაშვილის გამოცემას მივანიჭეთ.

სირიული რედაქციის ქართული თარგმანი ერთადერთ ხელნაწერში დასტურდება: **A90** (XIII ს.), 311v-320v.

გარდა ამისა, გვაქვს „გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების“ სვინაქსარული რედაქცია, რომელიც წარმოდგენილია გიორგი ათონელის „დიდ სვინაქსარში“ (17 ნოემბრის საკითხავი) [დოლაქიძე... 2017: 72-73]. ექვთიმე ათონელის „მცირე სვინაქსარში“ კი მხოლოდ მოკლე მითითებაა მისი მოღვაწეობის დროის შესახებ: „წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგოლ საკურველთმოქმედისა ნეოკესარიისა. ესე იყო ავრილიანეს მეფისა ზე“. იქვე წარმოდგენილია მისი მინიატურა [ჩიტუნაშვილი 2021: 105, 106].

კორნელი კეკელიძე და ენრიკო გაბიძაშვილი მიუთითებენ, რომ ქართულად „გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების“ კიმენური რედაქციაც გვაქვს¹. ვ. კეკელიძე თბულების შემცველ ორ ხელნაწერს ასახელებს: **A90** (გვერდების მითითების გარეშე) და **A382** (XV ს.), 214v-219v; ე. გაბიძაშვილი კი ხუთს – **A382** (XVI ს.), 214v-219v; **S2766** (XIX ს.), 156v-160v; **Jer 16** (XIII ს.), 51r-60v; **Jer 17** (XIII ს.), 163r-174v; **ახალციხე 3483** (XIX ს.), 222-228 [კეკელიძე 1957: 123; გაბიძაშვილი 2004: 166].

საკითხის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სურათი:

ა) A90-ში იმ სირიული რედაქციის გარდა, რომელსაც ეს გამოცემა ეძღვნება, „გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების“ სხვა ტექსტი არ დასტურდება [ბრეგაძე... 1973: 316-325]. ეტყობა, ვ. კეკელიძემ ამ შემთხვევაში სირიული რედაქცია კიმენურად მიიჩნია.

ბ) Jer 16-ში „გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრება“ ასევე არ დადასტურდა. ეს არც ნიკო მარის აღწერილობაში ჩანს და არც რობერტ ბლეიკის კატალოგში, რომელიც უფრო ვრცელია [მარი 1955: 40-44; Blake 1922-1926: 388]. იმის გამოსარიცხად, რომ ე. გაბიძაშვილთან, ტექნიკური შეცდომის გამო, ხელნაწერის ნომერი შეცდომით არ იყო მითითებული, მთლიანად მოგვიწია რ. ბლეიკის კატალოგის დამუშავება, რადგან მას ინდექსები დართული არა აქვს. შედეგად, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერებში Jer 17-ის გარდა, „გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრება“ არსად დადასტურდა. ანუ, გაირკვა, რომ ე. გაბიძაშვილის ბიბლიოგრაფიაში Jer 16 შეცდომით არის მითითებული.

გ) A382-სა და Jer 17-ში ერთი და იგივე ტექსტია წარმოდგენილი [ბრეგაძე...]

¹ ე. გაბიძაშვილის თანახმად, კიმენური რედაქციის თარგმანი ეფრემ მცირეს ეკუთვნის და X საუკუნით თარიღდება [გაბიძაშვილი 2004: 166]. ამჟამად ტექნიკური შეცდომაა, X საუკუნეში ეფრემ მცირე ვერ თარგმნიდა.

1985ა: 118, 126; Blake 1922–1926: 391]. მისი სათაურია „წამებად წმიდისა და დიდებულისა მღვდელთმოდურისა გრიგოლ საკურველთმოქმედისა“ (A382) / „წამებად... გრიგოლი საკურველთმოქმედისად (Jer. 17). ტექსტის თანახმად, იულიანე განდგომილი და გრიგოლ ნეოკესარიელი სიყმაწვილეში ერთად სწავლობდნენ ალექსანდრიაში, ერთი მასწავლებელი ჰყავდათ (A382, 215r1–215r2; Jer 17, 163r1–164r2). იულიანემ მისი მეფობის მეორე წელს გრიგოლი აწამა, ხელები და ფეხები დააჭრა, რადგან ქრისტეარ უარყო (A382, 217v1; Jer 17, 168v2). გრიგოლს ესაია წინასწარმეტყველი და კიდევ ერთი წმინდანი გამოეცხადა და სასწაულებრივად განკურნა (A382, 217v1–217v2; Jer 17, 169r2). ამის შემდეგ იულიანე განდგომილმა გრიგოლი ცეცხლით გახურებულ რვალის ეტლში ჩასვა, მაგრამ იგი აძვრადაც სასწაულებრივად გადარჩა (A382, 218r2; Jer 17, 170v1–170v2). იულიანემ გრიგოლს უამბო, რომ ერთხელ გზად მიმავალს ქვესკნელის მეუფე გამოეცხადა, რის შემდეგაც მისი მსახური გახდა (A382, 216v2–217r1; Jer 17, 167v1–168r1). ბოლოს იულიანემ თავი მოჰკვეთა გრიგოლს (A382, 219r2–219v1; Jer 17, 173r1–173v1), მისი სხეული კონსტანტინოპოლში ჩამოსულ ნეოკესარიელებს მიჰყიდა 500 დრაჰკნად, რომელთაც იგი თავის ქალაქში დიდი პატივით გადაასვენეს (A382, 219v1; Jer 17, 173v2).

როგორც დავინახეთ, ეს არის, აპოკრიფული ტექსტი თავისი ანაქრონიზმითა და გამოგონილი სიუჟეტით¹. მასში ასევე საუბარია ბოლო ჟამის თარიღის გამოთვლის შესახებ (A382, 218v2; Jer 17, 171v2).

დ) S2766–სა და ახალციხე 3483–ში ერთი და იმავე თხზულების ორი რედაქციაა წარმოდგენილი, განსხვავებული სათაურებით, მაგრამ თითქმის ერთნაირი დასაწყისით: „გრიგოლ სასწაულთმოქმედი – იგი ნეოკესარიის ქალაქისაგან იყო, რომლის თემი პონტოს იწოდებოდა. წარმართ მშობელთა ძე, არამედ პატიოსანი გვარისა...“ (S2766, 156v); „გრიგოლ საკურველთმოქმედის ცხოვრება – გრიგოლ იყო ნეოკესარიელის ქალაქიდან, რომლის დაბას პონტოს ეწოდების...“ (ახალციხე 3483, 222).

ორივე გვიანდელი ტექსტია და სომხურიდან არის თარგმნილი. S2766–ის ტექსტი გადმოღებულია რომელიღაც სომხური გამოცემიდან, სავარაუდოდ სომეხი ავტორის მიერ. თარგმანი შესრულებულია ულამაზოდ, ტექსტში ვხვდებით არმენიზმებს, გადაწერილია ტერ ანტონის მიერ. ხოლო ახალციხე 3483–ში წარ-

1 ასეთ ანაქრონიზმს სვიდას ლექსიკონშიც (X ს.) ვხვდებით. მიშელ ვან ესბროკის აზრით, ეს შეცდომა გრიგოლ საკურველთმოქმედის ქართული „წამებიდან“ უნდა მომდინარეობდეს [Esbroeck 2004: 5; Esbroeck 1999: 129–185].

მოდგენილია ტერ სტეფან ალოშოვის მიერ სომხურიდან თარგმნილი რედაქცია [ბრეაძე... 1985ბ: 166, 168; აბულაძე... 1987: 110]. ეს ტექსტები არაფრით ფასეული არ ჩანს.

თორნიკე ჭყონიას პირადი არქივის გადარჩენილ ნაწილში აღმოჩნდა მის მიერ რამდენიმე ხელნაწერიდან გადმოწერილი გრიგოლ ნოსელის „გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების“ ტექსტი. მისი დაკვირვებები და მის მიერ გაკეთებული ჩანიშვნები დაკარგულია. ნაშრომის დასრულება და გამოცემა თ. ჭყონიას არ დასცალდა [კოჭლამაზაშვილი 2009: 387, სქოლ. 1].

„გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების“ ბერძნული რედაქციის ქართული თარგმანების კვლევას სადისერტაციო ნაშრომი მიუძღვნა ნანა მრეველიშვილმა. მასვე ეკუთვნის ქართული ტექსტების პირველი პუბლიკაცია [მრეველიშვილი 2001].

თხზულების გიორგი ათონელის და ეფრემ მცირის თარგმანის კრიტიკული ტექსტის პირველი გამოცემა გამოკვლევითურთ ეკუთვნის ექვთიმე კოჭლამაზაშვილს [კოჭლამაზაშვილი 2009: 375-539]. ამ თხზულების შესახებ მასვე ეკუთვნის კიდევ ერთი სტატია [კოჭლამაზაშვილი 2004: 53-69].

მიშელ ვან ესბროკმა მრავალი წელი მიუძღვნა გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების სხვადასხვა რედაქციისა და შემოქმედების შესწავლას. მის პუბლიკაციებში ქართული რედაქციების შესახებაც ვხვდებით ცნობებს.

2.2. ზრიგოლ ნეოკესარიელის თხზულებები ქართულ ენაზე

გრიგოლ ნეოკესარიელის ბერძნულ ცხოვრებაში ორიგენესადმი მიძღვნილი სიტყვის გარდა მისი სხვა თხზულება დასახელებული არ არის [კოჭლამაზაშვილი 2009: 378].

ქართულად გვაქვს გრიგოლ ნეოკესარიელის კანონიკური ეპოსტოლე („ეპისტოლე კანონიანი წმიდისა გრიგოლი ეპისკოპოსისა ნეოკესარიელისა საკურელთმომქმედისა მათთჳს, რომელთა ეჭამა ნაზორევი კერპთა მარბეველობასა შინა ბარბაროზთასა ანუ სხუთა რადთმე შეცთომილ იყვნეს“), რომელიც შესულია „დიდ სჯულისკანონში“ [გაბიძაშვილი... 1975: 462-466; გაბიძაშვილი 2012: 88]. თარგმანი, როგორც ცნობილია, ეკუთვნის არსენ იყალთოელს².

1 გრიგოლის შრომების შესახებ, ასევე საეჭვო თხზულებებისა და იმ თხზულებების შესახებ, რომლებიც მას შეცდომით მიეწერება იხ. ოტო ბარდენჰევერის პატროლოგია და სებასტიან ბროკის სტატია სირიული მეპიკიდრეობის ენციკლოპედიურ ლექსიკონში [Bardenhewer 1908: 171-175; Brock 2011].

2 გრიგოლ ნეოკესარიელის აღნიშნული ეპისტოლედან XI კანონის ავთენტურობა სპეციალისტებმა ეჭვქვეშ დააყენეს [Wace... 1911/1999: 404]. არსენისეულ თარგმანში ეპისტოლე მთლიანი სახითაა წარმოდგენილი ისე, რომ ცალკეულ კანონებად დაყოფილი არ არის.

გრიგოლ ნეოკესარიელის სარწმუნოების სიმბოლოს ორი ქართული რედაქცია გვაქვს, ერთი მისი „ცხოვრების“ გიორგი ათონელის თარგმანშია წარმოდგენილი, მეორე – ეფრემ მცირის თარგმანში. ეს სიმბოლო ზოგიერთ ხელნაწერში დამოუკიდებელი თხზულების სახითაც არის შეტანილი [გაბიძაშვილი 2009: 333].

864 წლის ცნობილი სინური მრავალთავი იწყება ღვთისმშობლის ხარებისადმი მიძღვნილი სამი ქადაგებით, რომელთა ავტორად შეცდომით გრიგოლ ნეოკესარიელია დასახელებული²: „საკითხავნი ხარებისანი თქუმილი წმიდისა გრიგოლი ნეოკესარიელ ეპისკოპოსისა ხარებისათჳს წმიდისა ღმრთის-მშობელისა“; მეორს, თქუმილი მისივე ხარებისათჳს“ და „მისივე თქუმილი, მესამს“. ამ თხზულებებს პარხლის მრავალთავშიც ვხვდებით, ათონის მრავალთავშიც [გაბიძაშვილი 2009: 279], იერუსალიმურ ქართულ ხელნაწერებშიც.

ე. გაბიძაშვილის „ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლების ბიბლიოგრაფიების“ თანახმად, გრიგოლ ნეოკესარიელის სხვა თხზულებები, ან ისეთი თხზულებები, რომლებიც მას შეცდომით მიეწერება, ქართულად არ დასტურდება. სამაგიეროდ ლიტურგიკულ ქართულ ხელნაწერებში გვაქვს გრიგოლ ნეოკესარიელისადმი მიძღვნილი ტროპარ-კონდაკები და ჰიმნოგრაფიული კანონები. მაგალითად, „თვენში“ (სინა 7/2) სხვა საგალობელთა შორის არის „გალობანი წმიდისა გრიგოლისნი და წმიდისა ბასილისნი მეხურნი“ (35r) [ჭელიძე 2001: 182, სქოლ.].

1 გრიგოლ ნეოკესარიელის სიმბოლოს შესახებ იხ. მიშელ ვან ესბროკისა და ლუიზ აბრამოვსკის პუბლიკაციები [Esbroeck 1989: 255–266; Abramowski 1976: 145–166]. ლარდნერი ცდილობს ამ დოკუმენტურ თხზულებას უფრო გვიანდელი წარმომავლობის ნიშნები მიაწეროს [Wace... 1911/1999: 403]. მეოთხე საუკუნის მიწურულის სარწმუნოების ორი აღსარების შესახებ, რომლებიც მიეწერება გრიგოლ ნეოკესარიელს, წერს ფრანჩესკო ჩელია [Celia 2019: 255–306].

2 ეს შეცდომა ბერძნული ხელნაწერებიდან მომდინარეობს.

3. მოკლე ცნობები სირიული რელაქსიის ქართული თარგმანის შემცველი ხელნაწერის შესახებ

როგორც აღვნიშნეთ, „გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების“ სირიული რედაქციის ქართული თარგმანი ერთადერთ ხელნაწერში დასტურდება, ეს არის A90. იგი დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

A90-ის პირველი, მოკლე აღწერილობა გამოაქვეყნა თ. ჟორდანიამ [Жордания 1903: 91-93]. მეორე, უფრო ვრცელი აღწერილობა თ. ბრეგაძეს ეკუთვნის [ბრეგაძე... 1973: 316-325]. ეს აღწერილობები კარგად არის ცნობილი სპეციალისტების წრეებში, ამიტომ ხელნაწერის მხოლოდ ზოგიერთ ნიუანსზე შევჩერდებით.

აღწერილობების თანახმად, ეს არის XIII საუკუნის ეტრატი, თუმცა, მიშელ ვან ესბროკთან XI საუკუნეა მითითებული, მაგრამ დასაბუთება წარმოდგენილი არ არის [Esbroeck 2004: 3].

ხელნაწერს ერთვის მომგებლის, პავლე უგრეხელისძის ანდერძი, სადაც მას ეწოდება „ნეტაფრასი სამოწმოა“¹. ასეთი სახელწოდების ხელნაწერი („მეტაფრასი სამოწმო“) ერთადერთია, არც სხვა მეტაფრასულ კრებულებს, არც სხვა რომელიმე ხელნაწერს „სამოწმო“ არ ჰქვია.

A90 იმითაც არის გამორჩეული, რომ მასში წარმოდგენილია ეფრემ მცირის ცნობილი თხზულება „მოსაჭსენებელი მცირე სვემონისათვის ლოლოთეტისა“ (159v-161v) [ბრეგაძე... 1973: 318].

ხელნაწერი 43 თხზულებას შეიცავს. „გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების“ სირიული რედაქციის ქართული თარგმანი კრებულში 42-ეა შეტანილი (311v-320v). 313v-სა და 316v-ზე დედნისგან განსხვავებული ხელით ორი მინაწერია იმის შესახებ, რომ ხელნაწერში ფურცელთა თანმიმდევრობა არეულია და ზოგიერთი მათგანი შეცდომით არის აკინძული². ტექსტის ბოლოს, ვიდრე მომდევნო თხზულება

1 „მე ცოდვილი და უღირსი მონაა შენი პავლე, შვილი უგრეხელის ძისა არსენისი, ღირს ვიქმენ მოგებად წმიდასა ამას წიგნსა ნეტაფრას-სამოწმოსა. დავსხენ და შევსწირენ შორითას სალოცავად სულისა ჩუქნისა ცოდვილისა მშობელთა და ძმათა“ [ბრეგაძე... 1973: 323].

2 „აქა ფურცელნი შესვლიან და ერთი გარდმოაქციე და იქ იძიე +“; „ესეცა შესვლიან, ორნი ფურცელნი გარდმოყარენ და ესე იძიე ნიშანი ❖“ [ბრეგაძე... 1973: 323].

(„ადსრულებისათვის წმიდისა დიდისა მოსე წინასწარმეტყუელისა“) დაიწყება, მნუსხველისავე ხელით წერია „ბავლეს შეუნდვნეს ღმერთმან“ (320v).

A90-ში თხზულებების თანმიმდევრობა ძირითადად საეკლესიო კალენდარს მიჰყვება. იწყება ნოემბრის საკითხავებით (პირველი არის 26 ნოემბრის საკითხავი), გრძელდება დეკემბრის საკითხავებით და ა.შ., მაგრამ „გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრება“ (17 ნოემბრის საკითხავი) ხელნაწერში ბოლო ნაწილშია შეტანილი ათანასე კულიზმელისა (18 ივლისი) და მოსე წინასწარმეტყველის (4 სექტემბერი) საკითხავებს შორის. ანუ ამ შემთხვევაში კალენდარული პრინციპი დარღვეულია. ერთი შეხედვით რჩება შთაბეჭდილება, რომ A90 გადაწერილია რომელიღაც დაზიანებული ხელნაწერიდან, რომელსაც შიგადაშიგ ფურცლები აკლდა, ზოგიერთი მათგანი ამოვარდნილი და არეული თანმიმდევრობით იყო შერჩენილი. ამით შეიძლება აიხსნას ის, რომ „გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრება“ ხელნაწერში თავის ადგილზე არ არის წარმოდგენილი.

და კიდევ, ხელნაწერში „გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრება“ სრულად არ არის მოცემული. მას აკლია მე-11 და მე-12 თავები სრულად და მე-13 თავის უმეტესი ნაწილი. 320-ე გვერდზე (r1) ტექსტი მე-10 თავის შემდეგ პირდაპირ გრძელდება მე-13 თავის ბოლოდან, მაგრამ ისე, თითქოს აქ ნაკლები ადგილი საერთოდ არ იყოს. გადამწერმა ეს ხარვეზი ვერ შენიშნა. ამითაც ჩანს, რომ მას ისეთი დედანი შეხვდა, რომელშიც ფურცლები არეული იყო. არ არის გამორიცხული, რომ „გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების“ ეს ნაკლები მონაკვეთი A90-შივე შეცდომით სულ სხვა თხზულებაში (ან თხზულებებში) აღმოჩნდეს ჩართული. მისი მიკვლევა ჯერ ვერ შევძელით, რადგან A90 საკმაოდ მოცულობითი ხელნაწერია, 650 გვერდს შეიცავს.

4. სირიული რედაქცია ღა მისი მიმართება ბერძნულთან

4.1. სირიული რედაქცია (ავტორი, თარიღი, წყაროები, ხელნაწერები, თარგმანები, პირველი გამოცემა)

„გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების“ სირიული რედაქციის ქართულ თარგმანში ავტორი დასახელებული არ არის, მაგრამ სირიულ ხელნაწერებში, რომლებიც 1975 წელს სინას მთაზე აღმოჩნდა, ავტორად შეცდომით გრიგოლ ნაზიანზელია მითითებული [Esbroeck 2004: 5].

ვიქტორ რისელის თანახმად, ორივე რედაქცია, როგორც ბერძნული, ისე სირიული, უფრო ადრინდელი ბერძნული ორიგინალიდან მომდინარეობს [Ryssel 1894: 228–254]. ეს უფრო ადრინდელი ბერძნული ორიგინალი არსად დასტურდება. ვ. რისელის საპირისპირო აზრი გამოთქვა ნიკოლაი საგარდამ, მან ჩათვალა, რომ ბერძნულ და სირიულ რედაქციებს საერთო წერილობითი წყარო არ აქვს¹. ამასთან მან მიიჩნია, რომ ბერძნული რედაქცია უფრო ძველია, ვიდრე სირიული [Никифоров... 2006: 75–86]. ამ თვალსაზრისის სხვა მკვლევრებიც გამოთქვამენ.

მიშელ ვან ესბროკის აზრით, სირიული რედაქცია გრიგოლ ნოსელის დაწერილი ბერძნული პანეგირიკიდან მომდინარეობს, მის ვარიანტს წარმოადგენს. თვითონ ბერძნული ცხოვრება-პანეგირიკი კი, მისი ვარაუდით, 380 წელს დაიწერა ნეოკესარიაში [Esbroeck 2004: 1–2]. ე.ი., მიშელ ვან ესბროკის თანახმად, სირიული რედაქცია 380 წლის შემდეგ არის შედგენილი.

სხვა მკვლევრები მიიჩნევენ, რომ სირიული ცხოვრება მხოლოდ ნაწილობრივ ეყრდნობა გრიგოლ ნოსელის თხზულებას, ნაწილობრივ კი ადგილობრივ ხალხურ გადმოცემებს გრიგოლ ნეოკესარიელის შესახებ. უილიამ ტელფერის აზრით, სირიული რედაქცია მხოლოდ ერთი ციკლის ზეპირი გადმოცემების მიხედვით შედგენილი არ ჩანს [Telfer 1936: 231]². პაულ კეტშაუს თანახმად, ზეპირ გადმოცემებს

1 რემონდ ვან დამის აზრით, ბერძნული რედაქციაც მხოლოდ ზეპირ გადმოცემებს ეყრდნობა [Dam 1982: 281, 286]. თუმცაღა, ბერძნულ რედაქციაში გრიგოლ ნეოკესარიელის სარწმუნოების სიმბოლოს შესახებაც ვკითხულობთ: „აღწერილი იგი ნეტარა მათ ჰელთა მისთაჲ ვიდრე აქამოდღე ჰკიეს უცვალებელად“ [კოჭ-ლაშაშაშვილი 2009: 419]. ე.ი. ბერძნული რედაქციიდან ჩანს, რომ გრიგოლ ნოსელს წერილობითი წყაროც გამოუყენებია.

2 უ. ტელფერს ეკუთვნის ასევე გამოკვლევა „გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების“ ლათინური თარგმანის შესახებ.

ბერძნული რედაქციაც ემყარება და სირიულიც, ოღონდ ბერძნული უფრო სარწმუნო წყაროებს იყენებს [Bardenhewer 1908: 170].

ამრიგად, როგორც დავინახეთ, მკვლევრებს მეტ-ნაკლებად განსხვავებული მოსაზრებები აქვთ სირიული რედაქციის წარმომავლობის შესახებ.

თავდაპირველად „გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრება“ სირიულ ენაზე მხოლოდ ლონდონის ბიბლიოთეკაში დაცული VI საუკუნის ხელნაწერით გახდა ცნობილი. შემდეგ უფრო ადრინდელი, საჯარაუდოდ V საუკუნის ხელნაწერი აღმოჩნდა პეტერბურგის (იმხანად ლენინგრადი) საჯარო ბიბლიოთეკაში [Пигулевская 1960: 140, 142-143; Esbroeck 2004: 3; Esbroeck 1988: 211-219]. 1975 წელს სინას მთაზე გამოვლინდა სირიული ხელნაწერები, რომელთა შორის ასევე აღმოჩნდა „გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების“ ორი ფრაგმენტი [Esbroeck 2004: 1]. შემორჩენილია ასევე VI საუკუნის სირიელი ავტორის ბარჰადბაბას (Barhadbshabba) მიერ რეზიუმირებული ტექსტი [Esbroeck 2004: 3].

ლონდონის ხელნაწერის ტექსტი არ არის სრული, მის ნაკლებ მონაკვეთს თითქმის სრულად ავსებს სინას მთაზე გამოვლენილი ფრაგმენტები [Esbroeck 2004: 8]. პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერის ტექსტი ძალიან ახლო დგას ლონდონის ხელნაწერის ტექსტთან, მაგრამ მას ბოლოში აქვს დამატება, რაც ბრიტანეთში დაცულ ხელნაწერში არ არის [Пигулевская 1960: 143]¹.

სებასტიან ბროკმა მოახდინა სინას მთაზე 1975 წელს გამოვლენილი „გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების“ სირიული ფრაგმენტების იდენტიფიცირება ბერძნული ტექსტის კრიტიკული გამოცემის მიხედვით [Esbroeck 2004: 1]. მისი დავირვებით, სინას მთაზე აღმოჩენილი რედაქცია უფრო ახლოსაა ბერძნულთან, ვიდრე ლონდონის ხელნაწერის ტექსტი [Esbroeck 2004: 1, დამოწმებულია: Ryssel 1894: 228-254].

„გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების“ სირიული რედაქციების ურთიერთ-მიმართება დეტალურად შეისწავლეს მიშელ ვან ესბროკმა და ილარია რამელიმ [Esbroeck 2004: 1-13; Ramelli 2007: 243-260]. მიშელ ვან ესბროკის თანახმად, ძველი სირიული რედაქცია საოცრად ახლოს დგას ბერძნულთან [Esbroeck 2004: 5].

მიშელ ვან ესბროკი წერს, რომ გრიგოლ ნეოკესარიელის შესახებ ბერძნული პანეგირიკი სირიულ ენაზე მეორედაც უთარგმნიათ. მეორე თარგმანი წარმოდგენილია ბერლინის ხელნაწერში (Berlin Sachau 321), რომელიც 741 წლით თა-

1 დამატებით ბოლო აბზაცი სირიული რედაქციის ქართულ თარგმანშიც არის წარმოდგენილი, მაგრამ შინაარსით იგი არ ემთხვევა პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერის ტექსტის ბოლო აბზაცს.

რიდდება. დიდი განსხვავებაა ამ ორ სირიულ თარგმანს შორის. პირველი უფრო მოკლეა, მეორე შედარებით უფრო განვრცობილი. ბერლინში დაცულ ხელნაწერში ტექსტს ვრცელი ჩანართები აქვს, ხოლო ლონდონის ხელნაწერში უფრო მოკლე რედაქციაა წარმოდგენილი [Esbroeck 2004: 4, დამოწმებულია: Esbroeck 1993: 537-553].

სირიული რედაქცია თარგმნილია სომხურ, ქართულ, სლავურ, არაბულ ენებზე, ასევე კობტური ენის ბოჰაიდურ და საჰიდურ დიალექტებზე [Esbroeck 2004: 6]. ამ თარგმანების შემცველი ხელნაწერები დაცულია ოქსფორდის ბოდლეს ბიბლიოთეკაში, პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, ლაიპციგის ბიბლიოთეკაში და სხვა წიგნთსაცავებში. პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ახლად გამოვლენილი საჰიდური ფრაგმენტები შეისწავლა ენზო ლუკეზიმ [Lucchesi 2004: 277-282].

თავდაპირველად ფართო საზოგადოებისთვის „გრიგოლ ნოსელის ცხოვრების“ სირიული რედაქცია გერმანულენოვანი თარგმანით გახდა ცნობილი. სირიული ტექსტი ლონდონის ხელნაწერიდან გერმანულად თარგმნა და გამოსცა ვიქტორ რისელმა. მალევე, იმავე ლონდონური ხელნაწერიდან სირიული ტექსტი გამოსცა პოლ ბეჯანმა. მის გამოცემაში ბერლინის ხელნაწერის, ანუ სხვა სირიული თარგმანის, ვრცელი ჩანართებიც არის წარმოდგენილი [Rysse 1894: 228-254; Bedjan 1896: 83-106].

4.2. განსხვავებები სირიულ და ბერძნულ რედაქციებს შორის

სირიული და ბერძნული რედაქციები შინაარსით ძირითადად ემთხვევა ერთმანეთს. განსხვავება ისაა, რომ ბერძნულის მიხედვით, გრიგოლი ნეოკესარიელ ეპისკოპოსად აკურთხა ფედიმოს ამასიელმა ეპისკოპოსმა. სირიულში მის ნაცვლად გრიგოლ ნაზიანზელი წერია.

ბერძნულ რედაქციაში წარმოდგენილია სარწმუნოების სიმბოლოს ტექსტი, რომელიც გრიგოლ ნეოკესარიელმა გამოცხადებით მიიღო (იხ. 46-50-ე თავები). სირიულში ამ თხზულების ტექსტი მოცემული არ არის, მხოლოდ მოკლე დოგმატური შინაარსის წინადადებაა სამების შესახებ: „მას ჟამასა შინა გამოჩნდა კედელსა ეკლესიისასა სასწაული დაწერილი ესრეთ: ‘სამგუამოვნად, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, და ერთგონებად ღმერთეებისად’“ (იხ. მე-3 თავი). ბერძნულში ეკლესიის კედელზე გამოჩენილი წარწერის შესახებ არაფერია.

სირიული რედაქციის თანახმად, ქრისტიანთა დევნის დროს გრიგოლ ნეოკესა-

რიელი უდაბნოში გავიდა, რადგან გამოცდახება მიიღო („მაშინ მოიწია მისა ჭმად, რომელი ეტყოდა: ‘აღდეგ და წარიყვანე სამწყსო მენი...’“). ბერძნულ რედაქციაში ამ გამოცხადების შესახებაც არაფერია ნათქვამი.

სირიულის მიხედვით, გრიგოლ ნეოკესარიელი უდაბნოში გამოქვაბულში დაემო-
ლა მღვდერებს, ბერძნულის თანახმად კი მთაზე ავიდა, სადაც იგი ვერ შეამჩნიეს.


სირიული რედაქციის მე-11 თავში მოთხრობილი ამბავი ძალიან ჰგავს ბერ-
ძნულის 24-27-ე თავების ისტორიას. ორივეგან მეძავი ქალი ცილს დასწამებს
გრიგოლს, ფულის მიღების შემდეგ იგი ცუდად გახდება და გრიგოლი მას განკურ-
ნავს. განსხვავება ისაა, რომ ბერძნული რედაქციის თანახმად, ეს მოხდა ალექსან-
დრიაში, სადაც ახალგაზრდა გრიგოლი სასწავლებლად იყო ჩასული, სირიული
რედაქციის მიხედვით კი ეს მოხდა ნეოკესარიაში, როცა გრიგოლი უკვე მღვდელ-
მთავრად მსახურობდა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცნობებს ალექსანდრე კომანელი
ეპისკოპოსის შესახებ, რადგან მისი ბიოგრაფიის ერთადერთ წყაროს „გრიგოლ
ნეოკესარიელის ცხოვრება“ წარმოადგენს [Виноградов 2000: 474]. სირიულ
რედაქციაში ეს არის ყველაზე ვრცელი თავი. ბერძნული რედაქციის მიხედვით,
ალექსანდრე იყო სალოსი, მას ახალგაზრდობაში ფილოსოფიური განათლება
ჰქონდა მიღებული და კომანში მჭედლის თანაშემწედ მუშაობდა, მენახშირე იყო.
სირიულში კომანი დასახელებული არ არის. სირიული რედაქციის თანახმად,
ალექსანდრე წარმომავლობით იყო რომიდან, წარჩინებული რომაელის, მაქსი-
მილიანეს ვაჟი. მშობლების გარდაცვალების შემდეგ მან მთელი თავისი ქონება
გლახაკებს დაურიგა, ერთ დღეში შვიდასი მონა გაათავისუფლა და უცხოობაში
დაიწყო მწირობა. ბერძნული რედაქციის მიხედვით, გრიგოლი თვითონ ჩავიდა
კომანში ალექსანდრეს ეპისკოპოსად დასადგენად („ევედრნეს... გრიგოლს
მკვდრნი კომანისანი, ... რაფთა მივიდეს მათდა და... მღვდელთმოდლუარი დაუდგი-
ნოს. ხოლო იგი მყის მივიდა მათდა“ [კოჭლამაზაშვილი 2009: 438]). სირიულში
კი პირიქით, ალექსანდრე თვითონ ჩავიდა ნეოკესარიაში, სადაც მიიღო საე-
პისკოპოსო ხელდასხმა, რის შემდეგაც გრიგოლმა გაგზავნა იგი თავის ეპარქიაში
(„წმიდამან გრიგოლ წარავლინა იგი... დაჯდომად საყდარსა თვისსა... და ვითარცა
წარვიდა ალექსანდროს...“).

ტროადი ჭაბუკის წამების ამბავი სირიულში ისეა გადმოცემული, რომ, ბერძნუ-
ლისგან განსხვავებით, მისი სახელი აღნიშნული არ არის.

გარდა ამ განსხვავებებისა, სირიულ და ბერძნულ რედაქციებში ერთი და იმავე

შინაარსის მქონე პასაჟები განსხვავებული თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი. მეტი თვალსაჩინოებისთვის შევადგინეთ დიაგრამა, სადაც რიცხვები აღნიშნავს თავების ნუმერაციას¹.



სირიული და ბერძნული რედაქციების ურთიერთმიმართების შესახებ უფრო დეტალურად პაულ კეტშაუ და ჰაინრიხ ჰილგენფელდი წერენ [Koetschau 1898: 211-250; Hilgenfeld 1898: 452-456].

¹ არც ბერძნული და არც სირიული რედაქციის ტექსტები ხელნაწერებში თავებად და პარაგრაფებად დაყოფილი არ არის. ასეთი დაყოფა მათ გამოცემლებს ეკუთვნის. სირიული ტექსტის თავების ნუმერაცია პოლ ბეჯანის გამოცემიდან ავიღეთ, ბერძნული რედაქციისა ექვთიმე კოჭლამაზაშვილის გამოცემიდან. სირიულში ვარსკვლავებით აღვნიშნეთ თავები, რომლებიც ქართულ თარგმანში წარმოდგენილი არ არის.

5. ურთიერთმიმართება სირიულ რელიჯიონსა და მის ქართულ თარგმანს შორის

როგორც აღვნიშნეთ, სირიულ ენაზე გვაქვს შედარებით უფრო ვრცელი და მოკლე რედაქციები. ქართული თარგმანი მოკლე რედაქციას მიჰყვება, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში განსხვავდება მისგან.

ქართულში თხზულებას სირიულისგან განსხვავებული სათაური აქვს. სირიულშია „თხრობა ნეტარი გრიგოლის, ნეოკესარიელი ეპისკოპოსის, სახელოვან საქმეთა შესახებ“ [Сагарда 1912: 1141], ქართულში – „ცხოვრება და განგება წმიდისა გრიგოლისი ეპისკოპოსისა [კესარიისა] ახლისა“.

ლონდონის ხელნაწერში წარმოდგენილი სირიული რედაქციის თანახმად, გრიგოლ ნეოკესარიელს დაუსწრებლად ფედიმოს ამასიის ეპოსკოპოსმა დაასხა ხელი, ხოლო სინას მთის ხელნაწერების მიხედვით, მან სამღვდელმთავრო ქიროტონია გრიგოლ ნაზიანზელისგან მიიღო [Esbroeck 2004: 5]. ქართულ თარგმანში წინააღმდეგობრივი ცნობებია. გრიგოლ ნეოკესარიელის დაუსწრებლად ხელდასხმელი ფედიმოსი პატრიარქად იხსენიება. დაბუსტებულიც არის, რომ ის იყო კონსტანტინოპოლის პატრიარქი / ქალაქ ბიზინტიის პატრიარქი. და ამავე დროს, ერთგან წერია, რომ ფედიმოსი არის ქალაქ ნაზიანზის (ანძიანძორი) ეპისკოპოსი¹.

ქართულ თარგმანს ბოლოში დართული აქვს დამატებითი აბზაცი, რომელიც სირიულში წარმოდგენილი არ არის. ამ აბზაციდან ვიგებთ, რომ, გრიგოლ ნეოკესარიელს ჰყავდა ძმა, სახელად თეოდორე. სინამდვილეში თეოდორე გრიგოლ ნეოკესარიელის ერისკაცობის დროინდელი სახელია², ხოლო მის უმცროს ძმას ერქვა ათენადორე / ათინოდორე³. ამავე აბზაცის მიხედვით, ალექსანდრე კომანელი ეპისკოპოსი შემდგომ იერუსალიმის პატრიარქად აირჩიეს, რაც სხვაგან არსად დასტურდება.

1 „და განემზადნეს და წარვიდეს სათნოება მის მონისა ღმრთისა, ფედიმოს კოსტანტინე[პოლელ] პატრიაქისა“; „და მუნთქუესვე აღდგა და წარვიდა იგი ქალაქად ბიზინტიად. და აუწყა წმიდასა ფედიმოსს პატრიაქსა ყოველი იგი ყოფილი, რომელი ებრძანა ანგელოზისაგან“; „აწ უკუე აღდგე ყოვლისა პირველად და შევედ ქალაქად ანძიანძორად და იკურთხე კაცისა მისგან ღმრთისა ფედიმოსისა და ესრეთ წარხვედ პატრიოთა ქალაქად შენდა [ახლად] კესარიად“.

2 სახელის შეცვლა, შესაძლოა, მონათვლასთან არის დაკავშირებული.

3 ამის შესახებ წერს ნეტარი იერონიმე [Wace... 1911/1999: 402; Salmond 1995: 5; Bardenhewer 1908: 170; Гумилевский 1859: 133].

ქართული ტექსტი ზოგ შემთხვევაში უფრო განვრცობილია, ვიდრე სირიული. ზოგჯერ კი პირიქით, ქართული ტექსტი სირიულთან შედარებით შემოკლებულია. გვაქვს ერთი-ორი ისეთი შემთხვევა, როცა ქართული და სირიული ტექსტების ში-ნაარსი არ ემთხვევა ერთმანეთს. მოვიყვანოთ რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითს¹.

ა) ქართულში ტექსტი განვრცობილია:

| ქართული | სირიული |
|--|--|
| <p>მიუვო მდღელმან მან და პრქუა წმიდასა: „მიბრძანე მე, უფალო ჩემო, რაათა წარვიდე ქალაქად და ვიხილო, უკუეთუ ესე ესრეთ არს, რაათა შევპმატო მოსწრაფებად და განდიდნეს სიხარული ჩემი და დავემტკიცო სარწმუნოებასა ზედა“.</p> | <p>მოგვმა თქვა: „ნება მომეცი, ბატონო, წავიდე და ვნახო, რომ ამით გავმტკიცდეს სარწმუნოებაში“ [Сагарда 1912: 1146].</p> |
| <p>„შ კაცო ვინმე გონიერო, ჯერეთ ჭორცი ნაზორევი კერპთაჲ კბილთა გრჩია და მოსრულ ხარ აქა ურცხვოდ ბრძოლად ჩემდა. რაჲსა ესოდენ წარმდებ იქმენ და კადნიერად ზედა-მომიჭედ და წუნებით გნებაჲს შეურაცხებაჲ ჩემი? ანუ არა ვასმიესა, რამეთუ აურაცხელნი სულნი მომისრაჲვ აბანოსა ამას შინა, რომელნი ესრეთ კადნიერ იქმნეს და უჟამოდ მოვიდიან აქა? და შენ აწ რაჲ გიყო, არა უწყი და ვერარას შემძლებელ ვარ ყოფად, რამეთუ ლოცვაჲ წმიდისა გრიგოლისი თანა-მოგზაურ შენდა არს“.</p> | <p>„ჰოი, კაცო! ნაზორავი ხორცი ჯერ კიდევ კბილებში გავქვს, როგორ ბედავ ასე ჩემ აბუჩად აგდებას? ანდა რა შემიძლია დაგიშავო, როცა ნეტარი გრიგოლის ლოცვა თან გდევს?“ [Сагарда 1912: 1147].</p> |
| <p>მაშინ მდღელმან მან კერპთამან ყოვლადვე არა[დ] შეპრაცხა ეშმაკი იგი, არამედ განბასრა იგი და განიბანა გუამი მისი და წარვიდა გბასა თჳსსა მშვდობით. და მივიდა იგი წმიდისა გრიგოლისსა და აუწყა მას ყოველი იგი ყოფილი, რომელი იხილა თუალითა თჳსითა.</p> | <p>მაგრამ მოგვმა აღასრულა თავისი სურვილი, შემდეგ გამოვიდა, დაბრუნდა ნეტარ გრიგოლთან და უამბო ყოველი, რაც მოხდა [Сагарда 1912: 1147].</p> |

¹ წარმოდგენილი გამოცემის ნაკლი ის არის, რომ ქართული ტექსტი სირიულის რუსულ თარგმანს შევადარეთ და არა უშუალოდ სირიულ დედანს. აქ დამოწმებული ციტატები რუსული თარგმანიდან გადმოვიღეთ თანამედროვე ქართულ ენაზე. მომავალში უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობით შესაძლებელი იქნება ამ ხარვეზის გამოსწორება.

| | |
|---|---|
| მაშინ კაცთა მკვდრთა მის ქალაქისათა შეეწყალნეს იგინი და შეუძნდა სისხლისა დათხევად ვისიმე მათგანისაჲ. და მოვიდეს ფარულად და აუწყეს წმიდასა გრიგოლის მათუს. | მათმა მეგობრებმა შეატყობინეს ნეტარ გრიგოლს საქმის ასეთი ვითარების შესახებ [Сагарда 1912: 1148]. |
| მიუგეს და ჰრქვეს თითოეულმან, ვითარმედ: „ვიდრე არა მოვკუდეთ, არა ვიქმთ ჩუენ მშვდობასა“ | „არა“! [Сагарда 1912: 1148]. |
| და ვითარცა მიიწინეს [ახლად] კესარიად, ჰრქუა მას მოძღუარმან მისმან: „მოგუალე და მოვიკითხოთ წმიდა გრიგოლი და თაყუანის-ვსცეთ და მოვილოთ ლოცვისა მისისაგან საგზლად ჩუენდა, რადთა წარგუმართოს“ | და როდესაც ისინი შევიდნენ ქალაქში, მან წარადგინა იგი გრიგოლის წინაშე [Сагарда 1912: 1150]. |

ბ) ქართულში ტექსტი შემოკლებულია

| ქართული | სირიული |
|---|---|
| მათ დღეთა შინა ბრძანებითა ღმრთისაჲთა გარდაიცვალა ამის ცხოვრებისაგან ებისკოპოსი იგი. | იმ დღეებში ღვთის განგებულებით (სიტყვა-სიტყვით – ღვთის ნებით – გ.მ.) ამქვეყნიური ცხოვრებიდან გავიდა [მძიმე ცხოვრებით] დაღლილი ეპისკოპოსი, რომელიც იქ იყო [Сагарда 1912: 1149]. |
| და ვერად ვპოვე გზად განსარომელი კაცი-სათუს, ვითარ სიგლახაკით ცხოვრებაჲ სოფელსა ამას. | და მე დავინახე, რომ სულისთვის, რომელსაც უყვარს ღმერთი, არ არის არსებობის უკეთესი სახე, როგორც ის, რომ ამქვეყნიად ის იმყოფებოდეს სიღატაკეში [Сагарда 1912: 1151] |
| მაშინ აღესრულა წმიდა გრიგოლი სასწაულთა მოქმედი და მივიდა წინაშე ღმრთისა, ნათელსა მას დაუსრულებელსა. | და ამ ყოველივეს შემდეგ ნეტარმა დატოვა ეს ცხოვრება ტანჯვისა და ძღვევამოსილი აღვიდა თავის უფალთან. დაე იმეფოს მისი ლოცვებით წყალობამ ქვეყანასა ზედა და მკვიდრთა მისთა ზედა უკუნისამდე. ამინ [Сагарда 1912: 1157]. |

გ) ქართული თარგმანი არაზუსტია / შინაარსით განსხვავდება სირიულისგან

| ქართული | სირიული |
|--|--|
| <p>მიუგო მას ქურუმმან მან და ჰრქუა: „უკუ-ეთუ მეუფე ქრისტეს[ი] ესრეთ უფროს არს შენსა, რავდენ უფროს მოძღუარი მისი? ამიერთგან გამომეცხადა მე უძლურებად შენი. ჯერ-არს ჩემდა, რადთა წარვიდე და შეუდგე მას, რომელი უფროს არს შენსა. მას ვჰმსახურო და მიერთგან შეურაცხ-გყო“.</p> | <p>მაშინ მიუგო მოგვმა და უთხრა: „მაშ, თუკი მოწაფე შენზე ამდენად ძლიერია, რაოდენ უფრო ძლიერი იქნება მისი მასწავლებელი! ამიტომ ჩემი ვალია წავიდე, რომ ვემსახურო მას, ვინც შენზე მეტია!“ [Сагарда 1912: 1146].</p> |
| <p>„მაუწყე მე, შვილო ჩემო, რომლისა მიზეზისათვის აღირჩიე გზად ესე სისულელისად სოფელსა შინა?“</p> | <p>„ღვთის გულისათვის, ჩემო ძმაო, [მითხარი], რატომ აირჩიე სალოსობის ეს გზა?“ [Сагарда 1912: 1151].</p> |
| <p>ხოლო წმიდად ესე და მდღელნი მისნი იყენეს წინაშე მისსა ქუაბსა შინა ერთსა.</p> | <p>ნახეს იგი გამოქვაბულთან, წარმართ მოგვთან ერთად. რომელიც მისი მოწაფე გახდა [Сагарда 1912: 1156].</p> |

ამრიგად, როგორც დავინახეთ, ქართული ტექსტი შიგადაშიგ სხვაობს სირიულისგან. რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს განსხვავებები იმ რედაქციიდან მომდინარეობს, საიდანაც ქართული თარგმანია შესრულებული. ქართულმა ხელნაწერმა შემოინახა „გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების“ სირიული რედაქციის ის ვარიანტი, რომელიც ახლოს დგას ლონდონის ხელნაწერის ტექსტთან, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში განსხვავდება მისგან.

6. თხზულებაში ასახული ისტორიული სინამდვილე

„გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრება“ ისტორიული ცნობების სიმჭირით გამოირჩევა. მაგალითად, არც სირიულ და არც ბერძნულ რედაქციებში არ არის ნახსენები ის, რომ 265 წელს გრიგოლმა მონაწილეობა მიიღო ანტიოქიაში გამართული საეკლესიო კრების მუშაობაში, რომელმაც დაგმო პავლე სამოსატელი. ამ კრების შემდეგ გრიგოლი რამდენიმე წელიწადში გარდაიცვალა¹. მდინარე მგელ-წყლის კალაპოტის შეცვლის ამბავი კი ისეა მოთხრობილი, რომ არც ადგილის სახელი და არც თარიღი წარმოდგენილი არ არის [Wace... 1911/1999: 404]. ოტო ბარდენჰევერის თანახმად, „გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრებას“ დიდი ისტორიული ღირებულება არ გააჩნია და ამ მხრივ არასაიმედოა [Bardenhewer 1908: 170]. მიუხედავად ამისა, გარკვეული ისტორიული ცნობები თხზულებიდან მაინც შეგვიძლია მივიღოთ.

ა) ეპისკოპოსის ხელდასხმის წესი

„გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების“ როგორც სირიული, ისე ბერძნული რედაქციებიდან ჩანს, რომ ახალი ეპისკოპოსის ხელდასხმა მხოლოდ ერთი ეპისკოპოსის მიერ ხდება (ფედიმოს ამასიელმა ეპისკოპოსმა ერთპიროვნულად დაასხა ხელი გრიგოლს²; თვითონ გრიგოლმა ასევე ერთპიროვნულად დაადგინა ალექსანდრე კომანის ეპისკოპოსად), თანაც ისე, რომ ორივე შემთხვევაში ერისკაცი პირდაპირ ხდება მღვდელმთავარი, ქვედა იერარქიული საფეხურების გავლის გარეშე.

ასეთი პრაქტიკა, მართალია, საეკლესიო კანონებიდან გადახვევას წარმოადგენს, მაგრამ „გრიგოლის ცხოვრებაში“ ყველაფერი ისე გადმოცემული, როგორც ჩვეულებრივი ამბავი, მასში კანონდარღვევაზე არაფერია აღნიშნული. როგორც ჩანს, პირველი ქრისტიანები გამონაკლისის სახით ცალკეულ შემთხვევებში უშვებდნენ საეკლესიო კანონებიდან ასეთ გადახვევებს.

სწავლის დასრულებისა და მშობლიურ ქალაქში დაბრუნების შემდეგ გრიგოლი მალევე გახდა ეპისკოპოსი [Wace... 1911/1999: 401, 403]. ევსები კესარიელის

1 ანტიოქიის კრებაში გრიგოლის მონაწილეობის შესახებ გვაუწყებს თეოდორიტე კვირელი [Salmond 1995: 6].

2 ამ დროს ამასია, როგორც ჩანს, იყო პროვინციის მთავარი ქალაქი [Salmond 1995: 6].

თანახმად, გრიგოლი „ძალიან ახალგაზრდა“ დაადგინეს ეპისკოპოსად [Salmond 1995: 3]. ძალიან ახალგაზრდაში, როგორც ჩანს, იგულისხმება ის, რომ გრიგოლი 30 წლისაც არ იყო. იგი დაახლოებით 213 წელს დაიბადა, ხოლო 238-ში თუ 239-ში დაბრუნდა ნეოკესარიასში. ამ დროს იგი 25–26 წლისა თუ იქნებოდა. საეკლესიო კანონების თანახმად, ამ ასაკში ჯერ კიდევ არ შეიძლება სამღვდელმთავრო ქიროტონიის მიღება. მაგრამ, ეტყობა, პირველი ქრისტიანები ამ მხრივაც უშვებდნენ გამონაკლისებს.

ოტო ბარდენჰევერმა რატომღაც მიიჩნია, რომ გრიგოლი მისი მშობლიური ნეოკესარიის პირველი ეპისკოპოსი იყო [Bardenhewer 1908: 171], მაგრამ „გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების“ როგორც ბერძნული, ისე სირიული რედაქციების მიხედვით, ნეოკესარიას მანამდე სხვა ეპისკოპოსი ჰყავდა, რომლის გარდაცვალების შემდეგაც დაიკავა გრიგოლმა კათედრა.

და კიდევ, ალექსანდრე კომანელის შემთხვევაში ჩანს ის, რომ ეპისკოპოსის არჩევაში ერისკაცები / ქალაქის მოსახლეობა მონაწილეობს, რაც ადრინდელი ეკლესიის წესია.

ბ) დეკიუსის დროინდელი დევნა

„გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების“ არც ბერძნულ და არც სირიულ რედაქციაში რომის იმპერატორი ნახსენები არ არის, ხოლო სვინაქსარულ რედაქციებში, როგორც „დიდ სვინაქსარში“, ისე „მცირე სვინაქსარში“, იმპერატორი ავრელიანეა (270–275 წწ.) დასახელებული – „ესე იყო ავრილიანე(ს) მეფისა ზე“ [დოლაქიძე... 2017: 72; ჩიტუნაშვილი 2021: 105]. მიუხედავად იმისა, რომ დეკიუსი არც ერთ რედაქციაში არ იხსენიება, სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ თხზულებაში დეკიუსის (249–251 წწ.) დროინდელი დევნაა ასახული.

დეკიუსმა ქრისტიანების დიდი დევნა მისი მმართველობის ბოლო წლებში დაიწყო [Wace... 1911/1999: 404]. დევნამ მთელი რომის იმპერია მოიცვა. ამ დროს ქრისტიანები ტოვებდნენ ქალაქებს, უდაბნოებსა და მთებში იხიზნებოდნენ. ასე მოქცნენ, დეკიუსის დროინდელი დევნისას დიონისე ალექსანდრიელი და კვიპრიანე კართაგენელი. ცნობილია ასევე შვიდი ეფესელი ყრმა, რომელთაც დეკიუსის დროინდელი დევნის დროს ქალაქგარეთ გამოქვაბულს შეაფარეს თავი. ამ დროს ეწამა ტროადი ჭაბუკი, რომლის შესახებაც ხილვა ჰქონდა გრიგოლ ნეოკესარიელს, და სხვა მრავალი ქრისტიანი.

შეგვიძლია ერთგვარი პარალელიც გავავლოთ გრიგოლ ნეოკესარიელისა და პავლე თებელის ცხოვრებას შორის, რომელიც ასევე დეკიუსის დროინდელი დევ-

ნის დროს გაიხიზნა უდაბნოში: „ესე ნეტარი პავლე იყო ჟამთა დევებო და ვალე-რინე მდევართა მეფეთასა თეზაიდით ეგვპეტისადთ. ხოლო ვითარცა გულისჭმა-ჰყოფდა დისიძისა თვისისა უკეთურებასა, რამეთუ ეგულეობდა განცემად მისი, რადთა დაიპყრას მამულისა სამკვრდებელისაგან ხუედრებული მისდა ნაწილი, განეშორა სოფლისაგან და ივლტოდა ამბოხებათაგან და განისუენა უდაბნოსა შინა და მათა შინა დაემკვდრა და ქუეყანასა ქუეშე ქუახსა რასმე შინა შთავიდა, რომელსა შინა მონაზონებისა ცხორებად კეთილად აღასრულა...“ [დოლაქიძე... 2017: 147-148].

„გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების“ ბერძნული რედაქციიდანაც ვიგებთ იმის შესახებ, რომ დეკიუსის დროს ქრისტიანებს მათი ახლო ნათესავი წარმართები დასასმენად იმეტებდნენ: „...შვილი წარმართი მორწმუნეთა მშობელთა შინა-განსცემდა, და შვილსა მორწმუნეთა მამად ურწმუნოდ შეასმენდა; და ძმად ძმასა განსცემდა და ტანჯვასა და სიკვდილსა ერთმანერთისასა აღირჩევდეს, ვიდრედა სარწმუნოებისა დამარხვასა. ამის მიზეზისათვის სავსე იყვნეს უდაბნონი ლტოლ-ვილთაგან და სახლნი - ცალიერ მკვდრთაგან“ [კოჭლამაზაშვილი 2009: 448].

ამრიგად, ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში აღწერილია გაუსაძლისი ვითარება, როცა ქრისტიანებს მათი ახლო ნათესავებისგანაც კი არ ჰქონდათ დანდობა. ისინი იძულებულნი იყვნენ მოშორებოდნენ ქალაქებს, გაიხიზნულიყვნენ მთებში, უდაბნოებსა და გამოქვაბულებში.

„ცხოვრების“ თანახმად, გრიგოლი მოესწრო დევნის დასრულებას, დაბრუნდა ნეოკესარიაში და ააშენა ახალმოწამეთა სამარტვილენი. ეს მოხდა 257-258 წლებში [Wace... 1911/1999: 404].

გ) ტექსტში შეინიშნება ანაქრონიზმები

„და ესეცა გაუწყო თქუენ, ვითარმედ საქმე მისი არს [დღესა] შინა ასერგასის ფოლ[ის]სა და ჩემგან არა[ს] წა[რ]ილებს თვნიერ ორმეოცდაათისა ფოლისა და მისგან იჭუმევს პურსა, და ნეშტსა მას განუყოფს გლახაკთა“ - „ფოლი“ სპილენძის მონეტაა, რომელიც დიოკლეტიანემ მოჭრა. გრიგოლ ნეოკესარიელის დროს იგი ჯერ არ გამოიყენებოდა.

„და აუწყა წმიდასა ფედიმოსს პატრიაქსა ყოველი იგი ყოფილ“; „ხოლო წმი-დამან ფედიმოსს პატრიაქმან სიხარულით შეიწყნარა იგი“; „შეიპყრეს და დაადგინეს იგი პატრიაქად იერუსალემს ზედა თვნიერ ნებისა მისისა“ - ტერმინი „პატრიაქი“ ეკლესიაში მე-5 საუკუნიდან ვრცელდება, გრიგოლ ნეოკესარიელის დროს იგი ასევე ანაქრონიზმი.

7. როგორი ენოღან ღა როღის ითარგმნა სირიული რელაქსია ქართულად

7.1. შესაქლეზელია იუ არა, როგ ის ტექსტი უშუალოდ სირიულიღან იყოს ნათარგმნი

საქართველოსა და სირიას შორის ურთიერთობები ქრისტიანობამდეც არსებობდა და გაქრისტიანების შემდეგაც. არა მხოლოდ ასურელი მამები ჩამოვიდნენ საქართველოში სამოღვაწეოდ იოანე ზედაზნელის მეთაურობით, არამედ ქართველებიც ჩადიოდნენ სირიაში. მაგალითად „სიმეონ მესვეტის ცხოვრებიდან“ ვიგებთ, რომ ქართველი მომლოცველები დიდ ჯგუფებად ჩადიოდნენ სირიაში¹. ჩვენ ქვეყნებს შორის მიმოსვლა ეტყობა ჩვეულებრივი ამბავი იყო. ცნობილია ასევე, რომ სვიმეონ მესვეტესა და აბიბოს ნეკრესელს ერთმანეთთან მიმოწერა ჰქონდათ². ქართველებს თავისი სავანეებიც ჰქონდათ სირიაში. მათ უშუალოდ ჰქონდათ შეხება სირიულ სამწიგნობრო კერებთან, რაც სირიულ-ქართული პალიმფესტებიტაც დასტურდება. მიუხედავად ამისა, დღემდე არ გამოვლენილა ჰაგიოგრაფიული ტექსტი, რომელზეც დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ უშუალოდ სირიულიღან არის ქართულად თარგმნილი. ცალკეული მკვლევრები სირიულიღან ქართულად ნათარგმნ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებად მიიჩნევენ „წმ. დროსის წამებას“, პორფირი ღაზელის, სვიმეონ მესვეტე უმცროსისა და პეტრე იბერის „ცხოვრებებს“, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ეს დღემდე უეჭველად დადასტურებული არ არის [გაბიძაშვილი 2014: 103-104].

ბევრი სირიული თხზულება ქართულად ითარგმნა იმ ენებიდან (სომხური, არაბული, ბერძნული), რომელტაც გაცილებით მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ სირიულ ქრისტიანობასთან [გაბიძაშვილი 2014: 104-105]. მაგრამ რომელი ენიღან შეიძლება იყოს „გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების“ სირიული რედაქცია ქართულად თარგმნილი? ქართულ ტექსტში პირტა სახელები ბერძნული დაბოლოებითაც არის წარმოდგენილი (ყოველთვის არის „ალექსანდროს“, „ფედიმოს“)

1 „იხილა ერი დიდძალი ფრიად მამათა და დედათა და ყრმათა... მოეხლნეს იგინი მთასა მას საკურველსა... ესე არს ნათესავი ქართველთა, რომელნი... მოვიდოდღან შენდა ჟამითი-ჟამად... და კუალად დაემკვდრნენ მათგანნი მონასტერსაცა შენსა“ [კეკელიძე 1918: 260].
2 „წიგნითა და მოციქულითა იყო მათ შორის შესწავებად... და მთარუთა მას წიგნი ევლოგიად და კურთხი წმიდისა სვიმონ მესუეტისა“ [ახულაძე... 1963: 242-243].

და ბერძნულისგან განსხვავებულითაც (ყოველთვის გვაქვს „გრიგოლი“, გვაქვს ასევე „მაქსიმეანე ჰრომი“ და „თეოდორე პანტოქს ეპისკოპოსი“). შესაძლოა, ეს იმით აიხსნას, რომ თხზულების თარგმნის დროს ქართულ ენაში უკვე მყარად იყო დამკვიდრებული „გრიგოლი“ და „თეოდორე“. არც ის არის გამორიცხული, რომ ზოგიერთი საკუთარი სახელი თავდაპირველი ბერძნული დედნიდან სირიულში (ანდა სირიულიდან რომელიმე შუამავალ ენაში) ბერძნული დაბოლოებით, ან მის გარეშე გადასულიყო. ამრიგად, საკუთარ სახელებზე დაკვირვებით გადაჭრით იმის თქმა, თუ რომელი ენიდან არის ტექსტი თარგმნილი, შეუძლებელი ჩანს.

სირიული რედაქციის ქართული თარგმანის სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა შემდგომში შესაძლებელს გახდის ამავე რედაქციის სომხურ და არაბულ თარგმანებთან მის შედარებას. ალბათ შემდგომი კვლევები უფრო მეტ ნათელს მოჰფენს საკითხს. წინასწარი ვარაუდით კი შუამავალი ენის გამოყენებას ვერ გამოვრიცხავთ.

7.2. როლის შიიძლება ეთარგმნათ ეს ტექსტი

ჩვენ შევამჩნიეთ, რომ „გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების“ სირიული რედაქციის დასაწყისი და გიორგი ათონელის „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრების“ დასაწყისი რაღაცით ერთმანეთს ჰგავს.

სირიული რედაქცია: „დიდება და მადლობა ღმერთსა მხოლოსა, რომელსა ყოველთა კაცთაჲ ჰნებაჲს ცხორებაჲ და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვად; რადთა უზემთაჲს ამაღლდენ განგებითა მათითა სულიერთა უმეტეს სიმაღლეს[ა] ცათასა“.

წმ. გიორგი ათონელი: „კურთხეულ არს ღმერთი, რომელსა ყოველთა კაცთაჲ ჰნებაჲს ცხორებაჲ და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვად, რომელი-იგი გამოუთქმელითა მით განგებულეებითა თვისითა უმჯობესსა ყოველთასა განაწესებს“.

ხომ არ მიანიშნებს ეს მსგავსება იმაზე, რომ გიორგი ათონელი იცნობდა „გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების“ სირიული რედაქციის ქართულ თარგმანს? ეს ფრთხილი ვარაუდი იქნებ ეფერებ მცირის ცნობილი ანდერძითაც შემავრდეს, რომელსაც იგი დაურთავს მის მიერ თარგმნილ „გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების“ ბერძნულ რედაქციას:

„ხოლო ესე საცნაურ იყავნ, ვითარმედ ცხორებაჲ ამის წმიდისაჲ, [რომელი] ჩუენ ძუელად გუაქუნდა, სხუად არს, და ესე, გრიგოლი ნოსელისა[ჲ] თქუმული —

სხუა¹.

ვფიქრობ, აშკარაა, რომ ეფრემ მცირის ანდერძში ჯერ ნახსენებია გრიგოლ ნეოკესარიელის ძველი / სხვა „ცხოვრების“ ქართული თარგმანი, ხოლო ამის შემდეგ საუბარია გრიგოლ ნოსელის თხზულებაზე. ეფრემ მცირის თანახმად, გრიგოლ ნოსელის მიერ დაწერილ თხზულებაზე (ბერძნული რედაქცია) ადრე სხვა (უცნობი ავტორის) თხზულება გვქონდა ქართულად ნათარგმნი („ძუელად გუაქუნდა“). ხომ არ არის ის ძველი, სხვა, არანოსელისეული ტექსტი, რომელზეც ეფრემ მცირე საუბრობს, სირიული რედაქცია?

ეფრემ მცირის ეს ანდერძი კარგად არის ცნობილი. სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალგზის არის იგი დამოწმებული [კოჭლამაზაშვილი 2009: 380, სქოლ. 1], მაგრამ ამ შინაარსით იგი მიინცადამაინც არ წაუკითხავთ, როგორც ჩანს, იმის გამო, რომ „გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების“ სირიული რედაქცია ქართულად ცნობილი არ იყო.

და მაინც შეუძლებელია გადაჭრით იმის თქმა, რომ ეფრემ მცირე აქ „გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების“ სირიულ რედაქციაზე საუბრობს. მაგრამ ის კი ცხადია, რომ ეფრემისთვის ცნობილი იყო „გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების“ ორი ქართული თარგმანი, ერთი ძველი, რომელიც სხვაა, და მეორე გრიგოლ ნოსელის დაწერილი, რომელიც ჯერ გიორგი ათონელმა თარგმნა, შემდეგ ეფრემმა. თუ ეფრემის მიერ ნახსენები სხვა ძველი „ცხოვრება“ სირიულ რედაქციას გულისხმობს, გამოდის, რომ შუა საუკუნეების ქართულ სასულიერო მწერლობაში გვაქვს ცნობა ამ თარგმანის შესახებ.

ამრიგად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ „გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების“ სირიული რედაქცია გიორგი ათონელამდე შეიძლება იყოს ქართულად ნათარგმნი, მაგრამ რამდენად ადრე, ძნელი სათქმელია. თუკი შემდგომი კვლევებით დადასტურდა, რომ ეს ტექსტი უშუალოდ სირიულიდან არის ქართულად ნათარგმნი, მაშინ იგი VII-VIII საუკუნეებზე გვიანდელი ვერ იქნება [გაბიძაშვილი 2014: 104].

1 მართალია ანდერძი ერთადერთი ხელნაწერით (S384) არის შემორჩენილი [კოჭლამაზაშვილი 2009: 380], მაგრამ სხვადასხვა გამოცემაში მისი ტექსტი განსხვავებული სახით არის წარმოდგენილი. ჩვენ უპირატესობა ე. კოჭლამაზაშვილის გამოცემას მივანიჭეთ.

8. ქართული ხელნაწერის ტექსტის გლობერტი თავისებურება

ა) ზოგჯერ „და“ კავშირი ზედმეტად გამოიყენება

„მოაქცევდა მათ დღითი-დღე და მსახურებისაგან კერპთადასა სარწმუნოებად ქრისტესა“; „ალაშენა ყოველი დარღუეული და აღმართა ყოველი დამგობილი სახელი და ადამისი“.

ბ) ზოგჯერ სიტყვები პირსა და რიცხვში ერთმანეთს არ ეთანხმება

ხელნაწერშია: „არა თუ სიქადულისათუს გამოგვცხადე საქმე ჩემი, არამედ შიშისათუს ფიცისა“

უნდა იყოს: „არა თუ სიქადულისათუს გამოგვიცხადე საქმე ჩემი, არამედ შიშისათუს ფიცისა“

ხელნაწერშია: „რომელმან რაჟამს მყვნა მე ქალაქისა ამის მწყსად“

უნდა იყოს: „რომელმან რაჟამს მყო მე ქალაქისა ამის მწყსად“

ხელნაწერშია: გიბრძანებს, ეშმაკო, რომელი მის მიერ ივლტოდე, რადთა კუალად-ეგოს უშიშადვე [ა]დგილსავე თუს[ს]ა“.

უნდა იყოს: გიბრძანებს, ეშმაკო, რომელი მის მიერ ივლტოდე, რადთა კუალად-ეგო უშიშადვე [ა]დგილსავე თუს[ს]ა“.

გ) ზოგჯერ გამორჩენილია ასო-ნიშნები და მთელი სიტყვები

„ცხორება და განგება და წმიდისა გრიგოლისი ეპისკოპოსისადა [კესარიისა] ახლისადა“; „წმიდისა გრიგოლი ეპისკოპოსისადა, რომელი [იყო] ქალაქსა ზედა ახალსა კესარიასა“; „ეპისკოპოსმან მან, რომელი იყო მჯდომარე[რე] საყდართა ზედა კესარია ახლისა ქალაქისათა“; „და ტყუვილი იგი განცხადებულად მამხილებულად [ე]ქმნა ზაკუვასა მათსა“; „და ჭირისა ჩუენისაგან ვი[ი]ძულეთ ამისი ყოფად“; „რადთა კუალად-ეგო უშიშადვე [ა]დგილსავე თუსა“; „ვითარცა ვაცნი სირცხულელნი კ[უ]ალად-იქციან“; „მაუწყე მე, ვითარცა [უ]კეთუ ბრძენი ხარ“.


ტექსტისათვის

კვადრატულ ფრხილებში [] აღვადგინეთ ტექსტში გამოტოვებული სიტყვები და ასო-ნიშნები. ასეთი შემთხვევები სქოლიოებში აღარ ავსახეთ. მაგალითად, ძირითად ტექსტშია „[ა]დგილსავე თვს[ს]ა“, სქოლიოში აღარ ჩავიტანეთ „დგილსავე თვსა“.

კვადრატულ ფრხილებში ჩავსვით ასევე თავების ნუმერაცია, რაც ხელნაწერში წარმოდგენილი არ არის.

A90-ში და საგარდას გამოცემულ სირიულ ტექსტში აბზაცებად დაყოფა ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს. ჩვენ უპირატესობა საგარდას გამოცემას მივანიჭეთ.

სქოლიოებში ხელნაწერს აღვნიშნავთ A ლიტერით.



„გრიგოლ ნეოკესარიელის ცხოვრების“ სირიული რედაქციის ქართული თარგმანის დასაწყისი (A90, 311v)



ხელნაწერი დაცულია ვ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში

(311v1) ცხორებაჲ⁽¹⁾ ლა ზანგვაჲ ნომიღისა ზრიგოლისი,
აჲისკოპოსისაჲ [კესარიისა] ახლისაჲ

გუაგურობენ!

[1] დიდებაჲ და მადლობაჲ ღმერთსა მხოლოსა, რომელსა ყოველთა კაცთაჲ ჰნებაჲს ცხორებაჲ და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვაჲ⁽²⁾; რადთა უზემთაჲს ამაღლდენ განგებითა მათითა სულიერითა უმეტეს სიმაღლეს[ა] ცათასა, ვინადგან ჭორცითა ამით ნივთიერითა იქცევიენ ქუეყანასა ზედა მსგავსად უსხეულთა და უჭორცოთა ანგელოზთა¹, რომელნი იგი განწესებულ არიან წინაჲმ ღმრთისა დიდებისა². არა ხოლო თუ მათათა და ქუაბთა და ნაპრაღთა და ჭურელთა ქუეყანის[ა]თა დამკვდრებითა ჰპოებენ წმიდანი (311v2) და მართალნი კაცნი ჭსნასა და მაცხოვარებასა მრავალსა⁽³⁾ მოწყალისა მიერ ღმრთისა და უფლისა, არამედ ნივთსა[ცა] შინა წმიდათა ეკლესიათსა აჩუენეს³ ღმრთისმსახურთა კაცთა ძალი სარწმუნოებისაჲ, ვინადგან შეიჭურნეს საჭურველითა სულისა წმიდისაჲ და სძლეს და იოტეს ყოველი ძალი წინააღმდგომისა მტერისაჲ ძალითა ცხოველსმყოფელისა ჯუარისაჲთა. ამისთვისცა მნებაჲს მითხრობაჲ თქუენდა, საყუარელნო, განგებაჲ ცხორებისაჲ და ჰანბავი სასწაულთა საქმისაჲ⁴ წმიდისა გრიგოლი ებისკოპოსისაჲ, რომელი [იყო] ქალაქსა ზედა ახალსა კესარიასა.

[2] ესე კაცი, წმიდაჲ და მართალი, სიყრმით მისითგან უდაბნოჲს მოყუარე იყო და იხარებდა სულითა უფლისა თანა განშორებულად კაცთაგან თავსა ზედა მათასა, რადთა ესრეთ მოიგოს დაყუდებაჲ და დაწყნარებაჲ შფოთთაგან სოფლისათა. და ვითარცა იყო იგი შუ[ე]ბათა შინა სულიერ[ი]თა ფართოებითა და ეძიებდა განგებასა სრულებისასა და ჰპოებდა იგი უხუებით⁵, მაშინ განჭდა ჰანბავი სათნოებათა მი(312r1)სთად ყოველთა ქალაქთა და სოფელთა, არა ხოლო თუ მახლობელთა, არამედ შორიელთაცა, და ყოველი კერძო⁶ მოვიდოდეს სხუანი თაყუანისცემად მისა და კურთხევაჲ⁷ მისგან და მოღებად მადლისა და სიწმიდისა მისისა.

1 უჭორცოთა ანგელოზნი A
2 დბ-ასა A
3 აჩუქნეს A
4 სასწაულთაჲ საქმისაჲ A
5 უხუებით A
6 ყლ-თა-კერძო A
7 კხ-ვდ A

(3)მას ჟამსა ღმრთისა მიერთთა განგებითა შეისუენა¹ შრომათაგან და შფოთთა ამის სოფლისათა ებისკოპოსმან მან, რომელი იყო მჯდომარე[რე] საყდართა ზედა კესარიის ახლისა ქალაქისათა. მაშინ შეითქუნეს და შეიბრახნეს მღვდელნი და წინამძღუარნი ქალაქისანი², რადთა დაადგინონ მათ ზედა ებისკოპოსი. და განემზადნეს და წარვიდეს სათნოდა მის მონისა ღმრთისა, ფედიმოს კოსტანტინე[პოლელ] პატრეაქისა და ევედრნეს მას, რადთა დაუდგინოს მათ მწყემსი სულთა მათთათვის, (3)რამეთუ აუწყეს მას გარდაცვალებად ებისკოპოსისა მათისად. და ვითარცა ესმა წმიდასა ფედიმოსს სიტყუად მათი, ჰრქუა მათ: „ღმერთმან თვთ იბრუნოს³ თქუენთვს და მანვე გამოარჩიოს მწყემსი სარწმუნოდ სამწყსოსა თვსსა ზედა [და] დაადგინოს, რომელი სათნო არს (312r2) წინაშე თულთა მისთა“. და ესე რად ჰქრუა მათ, უბრძანა, რადთა წარვიდენ მშვდობით. (3)მაშინ წმიდამან ღმრთისამან მღვდელთმძღუარმან ფედიმოს იწყო ვედრებად ღმრთისა მიმართ, რომელი იგი გამოემძიებელ არს ყოველთა გულთა, და იტყოდა: „უფალო ღმერთო ძალთაო, შენნი არიან ცანი და ყოველი სიმრავლე გუნდთა ანგელოზთად; და ბრწყინვალეებისაგან და დიდებისა შენისა ძრწიან ქერობინნი და ბრძანებისა შენისაგან ზარგანჭდილ არიან სერაბინნი. შენვე, უფალო, ბრძანებითა შენითა დაჰბადე საყოფელი ესე სოფლისად ამის, პირველითგანვე დაამკვდრენ მას შინა დაბადებულნი, ვითარცა სათნო-იყავ. და შენ ხარ, უფალო⁴⁽⁴⁾, რომელმან იგსენ და განათავისუფლე ეკლესიად შენი ჭელმწიფებისაგან ეშმაკისა და მოიგე იგი თვსად⁵ პატიოსნითა სისხლითა შენითა. (3)შენვე აწცა, უფალო, გამოარჩიე თავისა შენისა მწყემსი სარწმუნოდ, რომელმან დამწყსნეს ცხოვარნი შენნი პირმეტყუელნი⁶ ნებისაებრ შენისა“.

და ვითარცა აღასრულა ლოცვად ესე, მიერულა მას რულითა ტკბილითა და მოიწია მისა (312v1) ზეცით ჭმად, რომელი ეტყოდა: „ნუვის კაცთაგანსა დაადგინებ ებისკოპოსად [ახალსა] კესარიას ზედა, გარნა გრიგოლი მეუდაბნოდა⁷“. (3)მიუგო წმიდამან ფედიმოს და ჰრქუა: „უფალო ჩემო, ვინ მიჩუენოს⁸ მე ადგილი იგი,

1 შეისუენა A
 2 ქ-ლქისისანი A
 3 იბუნოს A
 4 ო- A
 5 თვ-ისად A
 6 პირმეტყუელნი A
 7 მეუდაბნოე A
 8 მიჩუენოს A

სამკვდრებელი გრიგოლისი, განშორებულთა¹ ზედა მათათა², რომელი³ აქუს მას განჩინებული სამკვდრებელად თვსად? ვინ შემძლებელ არს შეპყრობად ორბისა მის, რომელი აფრინდეს ფრთითა თვსითა სიმაღლესა ცისასა, განშორებულად ქუეყანისაგან?⁴ და კულად მოიწია ჭმად მეორედ და ჰრქუა: „წარავლინენ და მოუწოდე მდღელთა შენთა და შენ ჭელითა შენითა აღიქუ წმიდად სახარებად და შევედ საკურთხეველად ღმრთისა წმიდად ადგილად, ვინაჲცა-იგი მოტევებად ცოდვათად მოეცემის, და მუნ მოიჭსენე სახელი გრიგოლისი და აკურთხე იგი ებისკოპოსად თანადაუხუდომელად. ჩემ ზედა არს შეპყრობად ორბისა მის და მოვაველინო შენ-და ადგილით მისით, სადა იყოფოდის. მე ვიცნი მფრინველნი ცისანი და ყოველნი ქუეწარმაველნი⁴, და ჩემნი არიან ყოველნი დაბადებულნი⁽⁵⁾“. და ვითარცა ესმა წმიდასა (312v2) ღმრთისასა ფედიმოსს პატრეაქსა ჭმად ესე, მიუწოდა მდღელთა თვსთა და მათცა, რომელნი-იგი მოწივენულ იყვნეს მისა ქალაქით [ახლით] კესარიით ძიებად ებისკოპოსსა, და აღილო ჭელითა თვსითა წმიდად სახარებად, ვითარცა ებრძანა⁵ ზეგარდამო, და შევიდა მათ თანა საკურთხევე[ლ]ად, ღაღად-ყო და თქუა: „მოვიჭსენებთ დღეს აქა სახელსა გრიგოლის მეუდაბნოჲსასა⁶, რომელიცა გამოირჩია უფალმან და განიკუთნა იგი დაჯდომად საყდარსა ზედა ქალაქისა ახლისა კესარიისასა ებისკოპოსად“. და ვითარცა ესე თქუა, აკურთხა სახელი მისი ებისკოპოსად და განუტეგნა მდღელნი იგი მშვდობით საყოფლად მათდა და ჰრქუა⁷: „ებისკოპოსისათუს ნუ [ჰ]ზრუნავთ, რომელმან-იგი მიბრძანა კურთხევად მისი თანადაუხუედრებელად⁸, ...“⁽⁶⁾.

[3] ხოლო ღმერთმან, საკვრველთმოქმედმან წმიდათა მისთა მიერ, გამომეძიებელმან ნებისყოფელთა მისთამან ყოველთა შორის ძეთა კაცთასა, წარავლინა ერთი ანგელოზთა მისთაგანი, რომელნი მსახურ არიან დიდებასა მისსა, წმიდისა გრიგოლისსა ⁽³⁾რომელსამე მათათაგანსა⁹⁽⁷⁾, რომელ[სა] იყოფოდა, და ჰრქუა¹⁰ ესრეთ: „აჰა (313r1) ესერა, იქმენ შენ მდღელ[თმოძღუარ] ღმრთისა ქალაქსა ზედა

1 განშორებულთა A
 2 მათათა + და A
 3 რ- A
 4 ქუეწარმაველნი A
 5 უბრძანა A
 6 მეუდაბნოისასა A
 7 თქუა A
 8 თანადაუხუედრებელად A
 9 მთ-თა გ-ნსა A
 10 თქუა A

ახალსა კესარიას. აწ უკუვე¹ აღდევ ყოვლისა პირველად და შევედ ქალაქად ანძი-
ანძორად და იკურთხე^{2/(6)} კაცისა მისგან ღმრთისა ფედიმოსისა და ესრეთ წარ-
ხვდე პატივითა ქალაქად შენდა [ახლად] კესარიად“. ⁽³⁾და ვითარცა ესმა ესე წმი-
დასა გრიგოლს, ჰრქუა: „უფალო, შენ ხარ ყოვლისა მპყრობელი ჭელმწიფებით
და შენ, უფალო, უწყი, რამეთუ მონასა შენსა არა ჰნებავს დიდებაჲ ესე და პატივი
სოფლისაჲ ამის წარმავალისაჲ. და უკუეთუ ესრეთ არს ნებაჲ შენი, იყავნ, უფალო,
რომელი სათნო არს წინაშე შენსა“.

და მუნთქუევს³ აღდგა და წარვიდა იგი ქალაქად ბიზინტიად. და აუწყა წმიდასა
ფედიმოსს პატრიარქსა ყოველი იგი ყოფილი, რომელი ებრძანა ანგელოზისაგან.
⁽³⁾ხოლო წმიდამან ფედიმოს პატრიარქმან სიხარულით შეიწყნარა იგი, ნუგეში-
ნის-სცა და განაძლიერა იგი, გამოუცხადნა მას საიდუმლონი ღმრთისანი, რო-
მელნი გამოეცხადნეს მას მისთვის, მაშინ უთხრა მას და აკურთხა იგი და წარავ-
ლინა იგი საყდრად თვსად პატივითა დიდითა.

და ვითარცა მიიწია წმიდაჲ იგი ღმრთისაჲ ნეტარი გრიგოლი ქალაქად [ახლად]
კესარიად, (313რ2) პოვნა მკვდრნი მისნი მოსწრაფებითა შებორგებულნი მსახუ-
რებასა კერპთასა. და ვითარცა იხილნა იგინი ფრიად პატივისმცემელად კერპთა,
შეწუხნა იგი მათთვის და ტიროდა მწარედ მათთვის წმიდაჲ იგი. ⁽³⁾მაშინ ილოცვიდა
ნეტარი იგი ღმრთისა მიმართ და იტყოდა: „უფალო ღმერთო, დამბადებულო ყო-
ველთა დაბადებულთაო, შენ ხარ, რომელმან მოავლინე სული წმიდაჲ შენი ნუ-
გეშინის-მცემელად მოწაფეთა შენთა და მოციქულთა, განანათლენ თუალნი გო-
ნებისა მათისანი ცნობად ჭეშმარიტებისა. აწცა, უფალო, აჩუენე⁴ სასწაული შენი
ჟამსა ამას და მომივლინე ჩუენ მსგავსად წერილთა მათ საიდუმლოთა შენთა და
სარწმუნოებისა შენისა“. მას ჟამსა შინა გამოჩნდა კედელსა ეკლესიისასა სასწა-
ული დაწერილი ესრეთ: „სამგუამოვნად, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა⁵, ერთ-
გონებაჲ ღმერთებისაჲ“.

და ღამესა მას მიერულა წმიდასა⁶ გრიგოლის და იხილა ძილსა შინა მისსა
ყ[რ]მად ერთი, რომელსა აქლითა აქუნდა ტომარი ქარტად, და მის თანა ქალი
ერთი, ქალწული, რომელსა ემოსა პატიოსანი სამოსელი. და ეპყრა მას ჭელითა

1 უკუვე A
2 იკითხე A
3 მუნთქუქსვე A
4 აჩუენე A
5 წმიდისა + და A
6 წ-ა A

თვსითა ყრმა იგი⁽⁹⁾, (313v1) ⁽³⁾რომელნი იყვნენ¹ წმიდა იოანე მახარებელი, ძე ზებედესი, და წმიდა მარიამ ღმრთისმშობელი, და ეტყოდეს მას: „გულისჭმა-ყავ, შ კაცო, რომელი-ესე იხილევ. აჰა ესერა ღირს იქმენ შენ ხილვად ზეცისა სარწმუნოებასა, რომელიცა-იგი გიჩუენეთ² შენ. აღჭედ ამიერიტვან და დადევ³ ადგილსა მაღალსა და უქადაგე ყოველსა ერსა მართალი სარწმუნოებად დაუბრკოლებელად⁴. მიერიტვან იწყო სწავლად ერსა წმიდამან გრიგოლი დაუცადებელად დღე და ღამე და მოაქცევდა მათ დღითი-დღე⁵ მსახურებისაგან კერპთაჲსა სარწმუნოებად ქრისტესა.

[4] და ვითარცა დაყო მუნ შინა რავედენნიმე დღენი, კუალად გამოვიდა იგი მოხილვად საბრძანებელისა თვსისა და განამტკიცებდა მათ სარწმუნოებასა ზედა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა. და ვითარცა მოვიდოდა იგი გზასა თვსსა, შეემთხვნეს მას ორნი კაცნი, ნათესავნი ჰურიათანი. ⁽³⁾და ვითარცა იხილეს იგი შორით მომავალად, განიზრახეს ბაკუვით ურთიერთარს და ჰრქუა ერთმან მეორესა: „აჰა ესერა გრიგოლი მოვა[ლს]. მოვედით⁶ და შევიტყუთ იგი ღონის-ძიებითა და წარუღოთ სამოსელი მისი ქველის-საქმედ“. (313v2)

ჰრქუა მოყუასმან: „და ვითარ ვყოთ?“ ჰრქუა მას მოყუასმან: „მიჩევ შენ, ვითარცა მკუდარი, და ვტიროდი შენ ზედა. და ესრეთ შევაცთუნოთ იგი და წარმოვიღოთ აწ სამოსელი მისი“. და პირველ მოახლებისა წმიდისა გრიგოლისა დავარდა ერთი იგი ქუეყანასა ზედა, ვითარცა მკუდარი, ხოლო ერთი იგი დგა მახლობელად მისა და ტიროდა. და ვითარცა მოიწია წმიდა გრიგოლი ადგილსა მას, იწყო ლოდებად⁷ მდგომარემან მან და ტირილით ეტყოდა წმიდასა გრიგოლის: „შემეწიე⁸ მე, უფალო ჩემო, რამეთუ მე და ესე მოყუასი ჩემი გამოვედით წარსლვად გზასა თვსსა და ვითარცა აქა ოდენ მოვიწიებით, დაეცა ქუეყანასა ზედა და მოკუდა. აწ ყავ ჩემ თანა წყალობად და მიბოძე რაჲ[მე], რომლითა შევმოსო მკუდარი ესე და დავჰმარხო“. ⁽³⁾მაშინ წმიდამან გრიგოლი მუნთქუესვე⁹ განიძარცუა ბეწარი თვსი და განაპო იგი

1 რ-ლი იყო A
 2 გიჩუწნეთ A
 3 დად-ვ A
 4 დაუბრკოლებელად A
 5 დღითი-დღე + და A
 6 მ-დით A
 7 ლ-დბდ A
 8 შ-ე A (= შემეწიე ?)
 9 მუნთქუესვე A

ორად და ნახევარი იგი დაჰბურა მდებარესა მას და წარვიდა გზასა თვისსა. და მუნ-
თქუესვე¹ გამოვიდა სული მისი² და სიცრუვე მისი თხემსა მისსა ზედა დაუჭდა⁽¹⁰⁾ და
ტყუვილი იგი განცხა⁽¹¹⁾(314r1)დებულად მაზიღებულად [ქქმნა ზაკუვასა მათსა.

და ვითარცა განეშორა წმიდად გრიგოლი, მიეახლა მოყუასი იგი ქუემდებ-
რესა³ და ჰრქუა: „აღდეგ, რამეთუ შევიტყუეთ კაცი იგი და წარმოუღეთ ნახევარი
ზეწრისა მისისაჲ“. და ვითარცა არარად მიუგო, მიყო ჭელი მისი და შეარყია იგი,
რადთა აღადგინოს და პოვა იგი, რამეთუ ჭემმარიტად მომკუდარ იყო. მაშინ იწყო
დევნად წმიდისა გრიგოლისა და ღაღადებით უჭმობდა მას: „შემიწყალე, მ მოწა-
ფეო ქრისტესო, და მიემგავსე უფალსა ჩემსა, ღმერთსა შენსა, რომელი კეთილსა
უყოფს უკეთურსა ამას ნათესავსა ჩუენსა. ეგრეთვე, უფალო ჩემო, კეთილი მიყავ
ჩუენ და შემიწყალენ ჩუენ, უგუნური ესე“, – და ვითარცა-იგი წინაშე მისსა აუწყა
ყოველი ზაკულებად მათი და ტყუვილი, – „და კუალადცა გაუწყებ თქუენ, უფალო
ჩემო, ვითარმედ სიგლახაკისა და ჭირისა ჩუენისაგან ვიქიძულეთ ამისი ყოფად. აწ
უკუე⁴ მოწყალე ექმენ მოყუასსა [აქმას ჩემსა საწყალობელსა, რამეთუ აჰა, ცოლი და
შვილნი უსხენ მას ფრიად გლახაკნი და უპოვარნი და მაგისგან ელიან საზრდელსა
და ნუ(314r2)გემინისცემასა“. და ვითარცა ესმა ესე კაცსა მას ღმრთისასა გრიგო-
ლის, შეეწყალა იგი და კუალად-იქცა მის თანა და დადგა მკუდარსა მას ზედა და
ილოცა ღმრთისა მიმართ და თქუა: ⁽³⁾„ქრისტე, მჭსნელო ყოვლისა სოფლისა[ა]ო⁵,
რომელი⁶ ნეფსით შთაჰჭედ⁷ ქუესკნელად⁸, რადთა აღადგინო ადამ, დაბადებული
შენი, შეპყრობილი ჯოჯოხეთისაგან და განათავისუფლე ცოდვისაგან, რომელი
მოიგო მცნებისა გარდასლვითა სამოთხესა შინა, და იგსენ წარტყუენული პირვე-
ლითგან. და კუალად უწოდე ლაზარეს და გამოვიდა საფლავით შეკრული ჭელით
და ფერჯით და ჰბრძანე განჭსნად მისი კრულებისაგან⁽¹²⁾ და ვიდოდა. აწ, უფალო,
წყალობა-ყავ ჭაბუკსა ამას ზედა და უკუ-მოაქციე სული ამისი გუამსავე მისსა“. და
ვითარცა აღასრულა თხოვად თვისი, უპყრა ჭელი მისი და ჰრქუა: „შენ გეტყვ, ⁽³⁾მ
სულო, დაბადებულ ღმრთისაო⁹, სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა,

1 მუნთქუესვე A
2 გამოვიდეს სული მისნი A
3 ქუემდებარესა A
4 უკუე A
5 სოფლისო A
6 რომელი A
7 შთაუჭდეს A
8 ქუესკნელად A
9 ღ-თისო A

კუალად-იქეც ადგილსავე თუსსა და დაემკვდრე გუამსავე შინა შენსა, ვინადაც გამოხუედ¹. და მასვე ჟამსა შინა აღდგა კაცი იგი და ყოველთა, რომელთა იხილეს ესე, ადიდებდეს ღმერთსა (314v1) ⁽³⁾სასწაულთა მათ ზედა, რომელი გამოუჩნდა კაცთა წმიდისა მიერ. მაშინ ჰურიათა მათ ჰრწმენა ქრისტე და შეიწყნარეს წმიდად ნათლისღებად და მუნთქუესვე მონაზონ იქმნ[ნ]ეს და სათნო-ეყვნეს ღმერთსა.

[5] და ვითარცა მოიწია წმიდად გრიგოლი სოფელსა ერთსა საბრძანებელისა მისისასა, იხილა გარეშე სახლი ერთი საკერპოდ და შევიდა მას ღამესა მას შინა და ღამესა ათევედა. მაშინ ეშმაკი იგი, რომელი თაყუანის-იციემებოდა⁽¹³⁾ კაცთაგან, შეშინდა ლოცვისაგან მის წმიდისა და მეოტ იქმნა მიერ. ხოლო წმიდამან გრიგოლი, ვითარცა აღასრულა ლოცვად თუსი, წარვიდა იგი გზასა თუსსა. და ვითარცა განთენდა, მოიწია ქურუმი იგი კერპთად მსახურებად მათა, რომელიცა ჩინებულ იყო მათთვის. და ვითარცა განამრავლნა ლოცვანი თუსნი², ეძიებდა გამოცხადებასა ეშმაკისა³ მის ჩუეულებისაებრ⁴ და არა გამოეცხადა მას. მაშინ შეწუხნა იგი ფრიად და დიდისა მისგან მწუხარებისა დაიპო სამოსელი თუსი. და ვითარცა ფრიად განამრავლნა ლოცვანი მისნი⁵, ეჩუენა⁶ მას ეშმაკი იგი და ჰრქუა მას: „ამიერითგან სახლსა ამას შინა ⁽³⁾რამეთუ⁷ გრიგოლი, მოწაფე ქრისტესი, შემოვ(314v2)იდა⁸ და ილოცა აქა შინა და განმდევნა მე⁹, ამიერითგან ვერღარა შემძლებელ ვარ მე კუალად-ქცევად მას შინა“. მიუგო და ჰრქუა ქურუმმან მან კერპთამან: „და უკუეთუ მანვე გიბრძანოს შენ, უკუ-მოხვდე?“ ჰრქუა მას: „ჰე¹⁰, თუ მიბრძანოს“. და ვითარცა ესმა ესე მისგან მსახურსა მას კერპთასა, მსწრაფლ წარვიდა იგი წმიდისა გრიგოლისა და ჰრქუა მას: „გევედრები შენ, წმიდაო, რადთა უბრძანო ღმერთთა ჩუენთა, რომელთა ჩუენ ვმსახურებთ, რადთა კუალად-ეგნენ ადგილადვე თუსს[ს]ა. ⁽³⁾რამეთუ რაჟამს ილოცე შენ მას შინა, შიშითა შენითა დაუტევეს სახლი იგი და ივლტოდეს. და უკუეთუ¹¹ სიტყვთა შენითა კუალად-ეგნენ, მოვიდე მე და დავემო-

1 გამოხუედ A
2 განამრავლა ლოცვად თუსი A
3 ეშმაკისა A
4 ჩუეულებისაებრ A
5 განამრავლა ლოცვად მისი A
6 ეჩუენა A
7 რ- A
8 შემოვიდა A
9 მე + და A
10 ჰე A
11 უკუეთუ A

წაფო ღმერთსა შენსა, რომლსა შენ ჰმსახურებ“. და ჰრქუა: „დადევ“. და ვითარცა ესმა ესე გრიგოლის ქურუმისა მისგან, დაუწერა მას რუკად ესრე-სახედ: „გრიგოლი, მოწაფე ქრისტესი, გიბრძანებს ეშმაკო, რომელი მის მიერ ივლტოდე, რადთა კუა-ლად-ევო¹ უშიშადვე [ა]დგილსავე თვს[ს]ა“. ⁽³⁾მაშინ წარიღო ქურუმმან მან რუკად იგი და შთაიღო და (315r1) დადვა იგი სახლსა მას საკერპოსა და მუნთქუესვე² კუა-ლად გამოეცხადა მას ეშმაკი იგი ჩუეულებისაებრ³. მიუგო და ჰრქუა მას მსახურმან მან კერპთამან: „აწ უკუე⁴ შეიწყნარე[ა] ბრძანებად გრიგოლისი⁽¹⁴⁾, უკუ-მოხუედ⁵ აქავე?“ მიუგო ეშმაკმან და ჰრქუა: „ჰე⁶, ეგრეთ არს, რამეთუ ვინაფთგან მიბრძანე მე უშიშობებად, არღარა განვეშორო სახლსა ამას“. ჰრქუა მას ქურუმმან მან: „და ესრეთ უფროს და უძლიერეს არს[ა] გრიგოლი შენსა, რომელ ბრძანებასა მის[ს] ა ჰმორჩილობ აქა შემოსლვისათვსცა⁽¹⁵⁾?“ ⁽³⁾მიუგო ეშმაკმან და ჰრქუა: „ჩუენ ვერ შემძლებელ ვართ წინა-დადგომად ძალსა ჯუარისასა, რამეთუ მას ჰმორჩილობენ გუნდნი ანგელოზთანი და ძენი კაცთანი და ყოველი კრებული ეშმაკთად“. მიუგო მას ქურუმმან მან და ჰრქუა: „უკუეთუ⁷ მოწაფე^{8/(16)} ქრისტე[სი] ესრეთ უფროს არს შენსა, რავდენ უფროს მოძღუარი მისი?⁽¹⁷⁾ ამიერითგან გამომეცხადა⁹ მე უძლურებად შენი. ჯერ-არს ჩემდა, რადთა წარვიდე და შეუდგე მას, რომელი უფროს ა(315r2)რს შენსა, მას ვჰმსახურო და [ა]მიერითგან შეურაცხ-გყო“. ⁽³⁾მაშინ ქურუმი იგი წარვიდა წმიდისა გრიგოლისსა და დაემოწაფა მას.

[6] და იყო დღესა შინა ერთსა, ჯდა რად წმიდად გრიგოლი და ასწავებდა სიმრავლესა ერისასა, განკვრეებად დაეცა მას და იწყო სმენად და ხილვად დაფარულსა მას. მაშინ, ვითარცა იხილა იგი მღღელმან მან კერპთამან განკვრეებასა შინა, მიუგო და ჰრქუა მას: „მიბრძანე მე, უფალო, რომლისათვს ესოდენ განკვრეებულ იქმენ და რეცა ხედავ და გესმის რადმე¹⁰“. მიუგო მას წმიდამან გრიგოლი და ჰრქუა: „ეხედავ მე ჭაბუკსა ერთსა, რომელი მდგომარე არს წინაშე მსაჯულისა მის მოქალაქისა და განიკითხვის და იგმობვის სახელისათვს ქრისტეს ღმრთისა

1 კუაღად-ევოს A
 2 მუნთქუესვე A
 3 ჩუეულებისაებრ A
 4 უკუე A
 5 უკუე მოხუედ A
 6 ჰე A
 7 უკუეთუ A
 8 მეუფე A
 9 გამომიცხადა A
 10 რადმე A

ჩუენისა კერპთმსახურთა მიერ. და აჰა ესერა იწამა და მიიღო გვრგვნი ძლევი-
სა და მადლითა ქრისტესითა და სირცხვლეულ იქმნა ეშმაკი“. ⁽³⁾მიუგო მღდელმან
მან და ჰრქუა წმიდასა: „მიბრძანე მე, უფალო ჩემო, რადთა წარვიდე ქალაქად და
ვიხილო, უკუეთუ ესე ესრეთ არს, რადთა შეგჰმატო მოსწრაფება¹ და განდიდნეს
სიხარული ჩემი და (315v1) დავემტკიცო სარწმუნოებასა ზედა“. მაშინ საგზლად
მისცა მას წმიდამან გრიგოლი ძალი ლოცვისა მისისა და ჰრქუა მას: „წარვედი და
ძალი ლოცვისა და ღმერთი თანა-მოგზაურ გექმნენ შენ“. და მუნთქუესვე² წარ-
ვიდა მღდელი იგი ქურუმთად ქალაქად და შევიდა და იხილა, ვითარცა წმიდამან
გრიგოლი აუწყა, და განსრულებულ იყო წამებაჲ ჭაბუკისაჲ მის ცეცხლისა მიერ.
⁽³⁾მაშინ ღალად-ყო მღდელმან მან ჭმითა მადლობისაჲთა და მეცნიერებისაჲთა და
იტყოდა: „კუთხეულ არს უფალი ღმერთი ჩუენი იესუ ქრისტე, რომელმან ყო ჩემ
თანა წყალობაჲ მისი და განმათავისუფლა მე საცთურისაგან კერპთმსახურებისა³
განგებითა მონისა თვისისა გრიგოლისითა“.

[7] და კუალად იყო ქალაქსა მას შინა აბანოდ ერთი, რომელსა შინა იყო ეშმაკი
ერთი ფრიად უკეთური, და ვერვინ შემძლებელ იყო კაცთაგანი შესლვად აბანოსა
მას თვნიერ სამჟმითგან ვიდრე ცხრაჟამამდე. და უკუეთუ ვინმე სხუასა ჟამსა იკად-
რის შესლვად მას შინა, მუნთქუესვე⁴ მოკლის იგი და წარწყმიდის ეშმაკმან მან.
⁽³⁾მაშინ ვითარცა დაემთხვა მღდელი იგი, რომელი წარვიდა ხილვად მოწამისა მის
ქალაქად, ენება მას შესლვად (315v2) აბანოსა მას და ბანად მას შინა შრომისა
მისთვის გზისა, თვნიერ ჟამისა მის, რომელსა სხუანი კაცი შევიდიან. და დააყენა
იგი მეაბანოემან და ჰრქუა მას: „შ კაცო, ვითარ სიკუდილი თავისა შენისაჲ გნე-
ბავს[ა], რამეთუ შეხუალ უჟამოდ აბანოსა ამას?“ ⁽³⁾ხოლო მღდელი იგი, რომელი
მინდობილ იყო ლოცვასა წმიდისა გრიგოლისსა⁵, უშიშად და კადნიერად შე-
ვიდა⁶ აბანოსა მას. და ვითარცა იხილა იგი ეშმაკმან მან, ღალად-ყო ჭმითა მად-
ლითა საშინელად და შეიძრა აბანოდ[ე] იგი და შეაფეთა მძლავრად კარები, ვიდ-
რემდის⁷ მცირედ ენება გარდაქცევად აბანოჲსა მის. მაშინ მიუგო მღდელსა მას
კერპთასა და ჰრქუა: „შ კაცო ვინმე გონიერო, ჯერეთ ჭორცი ნაზორევი კერპთად

1 მასწრაფებაჲ A
2 მუნთქუესვე A
3 კერპთმსახურებისა + და A
4 მუნთქუესვე A
5 გრიგოლისსა + და A
6 შევიდა + იგი A
7 ვ-დის A

კბილთა გჩრია და მოსრულ ხარ აქა ურცხვზოდ ბრძოლად ჩემდა. რაფსა ესოდენ წარმდებ იქმენ და კადნიერად ზედა-მომიჭედ და წუნებით გნებავს შეურაცხებად ჩემი? ანუ არა გასმიესა, რამეთუ აურაცხელნი სულნი მომისრაენ¹ აბანოსა ამას შინა, რომელნი ესრეთ კადნიერ იქმნეს და უჟამოდ მოვიდიან აქა? და შენ აწ რად გიყო, არა უწყი და (31რ1) ვერარას შემძლებელ ვარ ყოფად, ⁽³⁾რამეთუ ლოცვად წმიდისა გრიგოლისი თანა-მოგზაურ შენდა არს“. მაშინ მდღელმან მან კერპთამან ყოვლადვე არა[დ] შეპრაცხა ეშმაკი იგი, არამედ განბასრა იგი და განიბანა გუამი მისი და წარვიდა გზასა თუსსა მშვდობით. და მივიდა იგი წმიდისა გრიგოლისისა და აუწყა მას ყოველი იგი ყოფილი, რომელი იხილა თუალითა თვისითა.

[8] და კუალად იყო მუნ სოფელი ერთი და თანა-წარსდიოდა მას მდინარე ერთი მძაფრითა დინებითა, და ფრიად მრავალსა განრყუნილებასა იქმოდა სოფელსა მას შინა, რამეთუ წარ[პ]რღუნინდა ოდესმე² ყანობ[ი]რსა მათსა და მტილებსა³ და ოდესმე მრავალნი სულნი მოსწყვდნის და წარიტყუენ[ნ]ის⁴ და ფრიად[ისა] სიბო-როტისა მისგან მდინარისა ეწოდა მას მგელ-წყალ. და ვითარცა ეუწყა მკვდრთა მის სოფლისათა წმიდისა გრიგოლისთუს და სასწაულთა მისთა, რომელთა ღმერთი აღასრულებდა მის მიერ, მაშინ მოვიდეს მისა, შეუ[კ]რდეს ფერტთა მისთა და ეტყოდეს: „გვედრებით, შენ, უფალო ჩუენო, რადთა წყალობა ჰყო ჩუენ ზედა და გვლხინო ჭირთაგან ჩუენთა⁵, ⁽³⁾რამეთუ სოფელი ესე ჩუენი სამკვდრებელად კეთილ არს, არამედ მდინარე (31რ2) თანა-წარსდის და ფრიადსა ვნებასა შეგუამ-თხუევს დლითი-დღედ, რამეთუ განპრყუნის სოფელსა [და] ნაშრომსა ჩუენსა და დაარლუევს⁶ სახლებსა ჩუენსა და წარპრღუნის მრავალთა მოყუასთა ჩუენთა და ფრიადსა მწუხარებასა მოაწევს ჩუენ ზედა. არამედ ემსგავსე შენ ღმერთსა შენსა ქრისტესა, რომელ არს თავი ყოვლისა შენებულისად, ⁽³⁾რომელი მოვიდა და აღა-შენა ყოველი დარლუეული⁷⁽¹⁸⁾ და აღმართა ყოველი დამჭობილი სახლი⁸ ადამისი. და ეგრეთცა მოვედ და განაგე სოფელი ჩუენი, რომელი დარლუეულა⁹ მდინარისა

1 მომისრვან A
 2 უდესმე A
 3 მტილებასა A
 4 წარიტყუენის A
 5 ჩუენთა A
 6 დაარლუევს A
 7 დარლუეული A
 8 სახლი + და A
 9 დარლუეულა A

მისგან სასტიკისა“¹. და ესმა ესე მათგან წმიდასა გრიგოლის, აღდგა მუნთქუესვე¹ და წარვიდა მათ თანა. და ვითარცა იხილა ნალუარევი იგი მდინარისად მის და მრავალი განრყუნელობად, რომელი ექმნა სოფელსა მას, და კუალად უძვრესსა მოელოდეს მისგან, ⁽³⁾მაშინ მოილო წმიდამან გრიგოლი კუერთხი² თვის, რომელი აქუნდა, და დაპნერგა იგი საზღვარსა ზედა მის სოფლისასა მდინარით კერძო და ჰრქუა: „თქუენ გეტყვ, შ წყალნო მდინარისანო³, მჭეცებერ განმრყუნელნო, ⁽³⁾სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, (316v1) რომელ არს ყოვლისა მპყრობელი, ნულარა იკადრებთ შემოსლვად აქა და ვნებად სოფლისა ამის უკუნისამდე“⁴. და მუნთქუესვე⁴ ჟამსა მას განედლდა კუერთხი⁵ იგი და იქმნა ხე დიდ ფრიად. და ოდეს მოჭდიან ღუარნი მდინარისა მისგან და მოეტევენიან ხესა მას და იხილნიან ხენი იგი კუერთხისა⁶ მისგან, ვითარცა კაცნი სირცხულეულნი კ[უ]ალად-იქციან და მიერ ჟამითგან არღარად ბოროტი ვენო სოფელსა მას მდინარისა მისგან.

[9] და კუალად იყო ჟამსა მას კაცი ვინმე ჩინებული ქალაქსა მას მდიდარი ფრიად საფასითა და ესე ბრძანებითა ღმრთისადათა განვიდა ცხორებისა ამისგან და დაუტევნა მან ორნი ძენი, რომელთა დაიძვდრეს მონაგები მისი. და ვითარცა განიყვეს მათ ყოველი საფასე და მონაგები განსწორებული, ედგა მათ ტბად ერთი დიდი, რომლისაგან აურაცხელი საფასე გამოვიდოდა ნადირობითა თევზთადათა, რამეთუ ფრიად იყო თევზი მას შინა, და ამას ტბასა ზედა შეი[შ]უღლნეს ძმანი იგი ვიდრემდის აღორძნდა მათ შორის ბოროტი და ძვრის-ზრახვად არამცირედი. და განძნდა შფოთი მათი, ვიდრემდის ბრძოლისაცა (316v2) ყოფად განემზადნეს ერთი-ერთსა⁷. და შეიკრიბა თითოეულმან მათგანმან გუნდი შეჭურვილი ბრძოლად ძმისა თვისისა და ძლევად მისა⁸. ⁽³⁾მაშინ კაცთა მკვდრთა მის ქალაქისათა შეეწყალნეს იგინი და შეუძნდა სისხლისა დათხევად ვისიმე მათგანისად და მოვიდეს ფარულად და აუწყეს წმიდასა გრიგოლის მათთვის. ხოლო წმიდასა გრიგოლის ვითარცა ესმა ესე, მ[ო]სწრაფებითა დიდითა წარვიდა მათ თანა, რადთამცა დაამშვნა იგინი მშუდობით. ჰრქუა მათ წმიდამან: „თქუენ ძმანი ხართ, რადხათუს

1 მუნთქუესვე A
 2 კუერთხი A
 3 მდინარეთანო + და A
 4 მუნთქუესვე A
 5 კუერთხი A
 6 კუერთხისა A
 7 ერთი-ერთისა A
 8 მათა A

გნებავს ესრეთ ეშმაკისა სიხარული და ურთიერთარს ძვრის-ყოფად? ნუ ეგრეთ იქმთ, შვილნო ჩემნო, რომელი არა სათნო არს ღმრთისა, არამედ მიიღენ ერთმან თქუენგანმან თვსად¹ ტბად ესე და მეორემან²⁽¹⁹⁾ – საფასე შესატყუებელი³ ფასად“. ჰრქუა ერთმან მათგან[მან]: „არა განუტევებ ჩემსა ნაწილსა ტბისაგან არაოდეს“. და მეორემან ჰრქუა: „ვიდრე სიკუდიდმდე ჩემდა არა განვცილო ტბად ჩემი ფასად არაოდეს“. ⁽³⁾მაშინ ჰრქუა წმიდამან გრიგოლი: „მოვედით“, – და მოვიდეს ერთობით ტბასა მას ზედა, – „და ვიხილოთ⁽²⁰⁾, (317r1) ნუკუკუ⁴ თვნიერ რადმე ვპოოთ, რომლითა იქმნეს თქუენ შორის მშვლობად“. და ვითარცა წარვიდეს ყოველნი ერთობით ტბასა მას ზედა⁵, და ვითარცა იხილა ტბად იგი წმიდამან გრიგოლი, ჰრქუა⁶ მათ: „ძმანო ჩემნო, რადსა ილაღვით ამისთვის ურთიერთას, რომელი არა თქუენი არს? წყალნი ღმრთისანი არიან, რომელმანცა დაჰბადნა, თქუენდა არა ჯერ-არს მტერობად ურთიერთას, რომელი არა თქუენი ქმნილი არს. აწ უკუეთუ⁷ მშვლობად ჰყთ ურთიერთას, და თუ არა, მე გიჩუენო⁸, ვითარ[ემედ] ესე ტბად არა თქუენი არს“. ⁽³⁾მიუგეს და ჰრქუეს თითოეულმან, ვითარმედ: „ვიდრე არა მოვკუდეთ, არა ვიქმთ ჩუენ მშვლობასა“. და ვითარცა იხილა წმიდამან გრიგოლი ურჩობად იგი და შეუზავებლობად მათი, და რამეთუ ჰნებავს ეშმაკსა დათრობად ქუეყანისად სისხლითა მათითა, მაშინ დაასხნა ჭელი თუსნი ტბასა მას ზედა: „თქუენ გეტყვ მე, მონად ღმრთისად, შ წყალნო ზღუსა ამისნო, მორჩილნო დამბადებელისა თქუენისანო, სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს(317r2)ითა, რომლისა ბრძანებითა შეკრებულ ხართ⁹ ამასვე ადგილსა ამითვე სახითა, გიბრძანებ, რადთა განიბნინეთ ამიერ ადგილით და შთაჰჭდეთ თქუენ აწვე სიღრმესა ქუეყანისასა, რადთა არა თქუენ ძლით ავნონ¹⁰ ერთმანერთსა დაბადებულთა ღმრთისათა“. და მასვე ჟამსა შთაინთქნეს წყალნი იგი ზღუსა მის სიღრმესა ქუეყანისასა და განჭმა ტბად იგი და იქმნა, ვითარცა სხუად ქუეყანად. მაშინ მიუგო წმიდამან გრიგოლი და ჰრქუა: „დაჯერებულ ხართ[ა], ძმანო ჩემნო, ვითარცა წყალნი იგი არა ჩუენნი არიან და არცა თქუენსა ბრძანებასა [ჰ]მორჩილობენ? ანუ შემართებულ ხართ[ა],

1 თვ-ისად A

2 მერმე A

3 შესატყუებელი A

4 ნუკუკუ A

5 და ვითარცა წარვიდეს ყოველნი ერთობით ტბასა მას ზედა + და ვითარცა წარვიდეს ყოველნი ერთობით ტბასა მას ზედა A

6 თქუა A

7 უკუეთუ A

8 გიჩუენო A

9 შეკრებულ არ-ნ A

10 ავნონ A

რადთა დაიჭირნეთ იგინი ადგილსავე თუსსა? ⁽³⁾ამიერთგან წარვედით მშუდობით საყოფ[ქ]ლად თქუენდა და ჰმადლობდით ღმერთსა მშუდობისა თქუენისათჳს“. მას ჟამსა დასცხრეს ძმანი იგი ბოროტის ყოფისაგან ურთიერთარს კუალად თვნიერ ნებისა მათისა და იქმნა მათ შორის მშუდობად და სიყუარული ძმობრივი ლოც- ვითა წმიდისა გრიგოლისითა ყოველთა დღეთა ცხორებისა მათისათა. (317v1)

[10] და კუალად იყო მასვე ქუეყანასა მცირე ქალაქი საგელმწიფომ ქუეშე [ახალსა] კესარიასა და იყო მას შინა ებისკოპოსი. მათ დღეთა შინა ბრძანებითა ღმრთისაჲთა გარდაიცვალა ამის ცხორებისაგან ებისკოპოსი იგი. მაშინ შეკრბეს¹ მღდელნი მის ქალაქისანი და აღვიდეს [ახლად] კესარიად, რადთა მოიყვანონ მწყემსი სულთა მათთად წესისაებრ ეკლესიისა. და ვითარცა შევიდეს წმიდისა გრიგოლისა, აუწყეს მას გარდაცვალებად ებისკოპოსისა მათისაჲ და მიუძღუნეს მას წიგნი, რომელსა შინა ეწერა სახელები კაცთად, რომელნი საგონებელ იყვნეს ებისკოპოს-ყოფად მათსა. და ვითარცა აღმოიკითხევდა⁽²⁾ სახელებსა მათსა, პოვა მუნ შინა სახელი ვისიმე კაცისა მდიდრისაჲ, რომელი² ყოლადვე შეუტყუებელ³ იყო ებისკოპოსად, ვითარმედ სიმდიდრისა მისისათჳს შიგა ეწერა სახელი მისიცა წიგნსა მას. მაშინ ერთი ვინმე კაცი [იყო] მღდელთა შორის, რომელსა შური საღ- მრთოჲ აქუნდა. ვითარცა ესმა მას სახელები იგი და კუალად სახელი მდიდრისაჲ მის, განჯურდა შურითა და ჰრქუა: „არაჲ დარჩა თვნიერ ალექსანდროს! მჭე (317v2) დელი ყავთ ებისკოპოს ჩუენ ზედა!“ ⁽³⁾მაშინ ვითარცა ესმა ესე მღდელ[ი]სა მისგან წმიდასა⁴ გრიგოლის, გულისგმა-ყო მუნთქუესვე⁵, რამეთუ არა ცუდად უქმნია ჭე- ნებად სახელი ალექსანდროს⁶ მჭედლისაჲ. მაშინ უბრძანა მღდელთა მათ, რადთა წარვიდენ ჟამსა მას. და ვითარცა ესენი წარვიდეს, დაჰფინა მან ფლასი და იწყო მუჭლ-მოდრეკით ვედრებად ღმრთისა და ეტყოდა: „უფალო ღმერთო, რომელი მჯდომარე ხარ ქერობინთა ზედა, რომელმან დააფუძნე ქუეყანაჲ და დაამტკიცენ ცანი, შენ არა ნათესავეთაებრ წარხუალ, უფალო, და არცა ჟამთაებრ იცვალი და არცა წელთაებრ მოაკლდები, არამედ შენ ხარ უფალი⁷ დაუსაბამოდ, სამარადი- სოდ, უჟამოდ და უცვალებელი. და გელმან შენმან შექმნნა ყოველნი ჟამნი, ხი-

1 შეკრბეს A
2 რომლისაჲ A
3 შეუტყუებელ A
4 წ-ა A
5 მუნთქუესვე A
6 ალექსანდროს A
7 თ- A

ლულნი და უხილავნი დაბადებულნი. და მე, მონად შენი ცოდვილი, გევედრები, უფალო, რადთა გამოაჩინო მოწაფე თვისი¹ სარწმუნოდ მწყემსად საცხოვართა შენთა ნებისაებრ შენისა უცთომელად⁽²²⁾⁴. ⁽³⁾და ვითარცა აღასრულა ლოცვად თვისი, მოიწია მისა ჭმად ღმრთისა მიერ და ჰრქუა²: „ნუცვის] დაადგინებ ებისკოპოსად ქალაქსა მას [ზედა], თვნიერ (318r1) ალექსანდროს მჭედლისა³“. ⁽³⁾მაშინ მიუგო წმიდამან გრიგოლი და ჰრქუა: „უფალო⁴, ვინ მიჩუენოს⁵ მე კაცი [იგი]?“ და კუალად მოიწია მისა ჭმად და ჰრქუა მას: „მიაველინე მას ქალაქსა და მოუწოდე მჭედელსა ერთ[ს]ა, რომლისა თანა იქმს ალექსანდროს, და მისგან გეუწყენენ შენ სათნოებანი მისნი“. მაშინ წარავლინა წმიდამან გრიგოლი მოწოდებად ვაცისა მის მჭედლისა და ვითარცა მოვიდა, ჰრქუა მას წმიდამან გრიგოლი: „გკითხავ რომლისა[მე]თვის საქმისა, შვილო ჩემო, და მაუწყე მე ჭეშმარიტი. [ვინად] ესე არს ალექსანდროს, რომელი იქმს შენ თანა მჭედელი? რა[მ] არს საქმე და განგება მისი და ვითარ არს საიდუმლოდ მისი დაფარული?“ მიუგო მას მჭედელმან და ჰრქუა: „უფალო ჩემო, კაცთა თუალსა ვითარ ხედვენ კაცნი, ჩანს იგი ცოფად⁶⁽²³⁾, ხოლო მე არა შემირაცხიე[ს] ცოფად⁷⁽²⁴⁾, არამედ ბრძნად⁸ და გონიერად, რამეთუ საქმენი მისნი არიან⁹ არა სულელისანი. და ესეცა გაუწყო თქუენ¹⁰, ვითარმედ საქმე მისი არს [დღესა] შინა ⁽³⁾ასერგასის ფოლ[ის]ა და ჩემგან არა[ს] წა[რ]იღებს თვნიერ ორმოცდაათისა ფოლისა და მისგან იჭუმევს¹¹ პურსა და ნეშტსა მას განუყოფს გლახაკთა; ჭორცსა არა ჭამს, ღვნ(318r2)ოსა არა სუამს და აბანოსა შინა არავის უხილავს კაცთაგანსა⁽²⁵⁾ ბანად. და არარადსა გემოდ იხილის თვნიერ მწუხრით-მწუხრად[მ]დე. და ოდესმე აღმოსცთეს მას სიტყუად სიბრძნისა, რომელ ფილაფოსნი ვერ შემძლებელ არიან სიტყუად ეგევითარსა“. და ვითარცა ესმა წმიდასა გრიგოლის მჭედლისა მისგან, ჰრქუა მას: „მნებავეს, საყუარელო, რადთა მომგუარო იგი აქა რომლითამე ღონის-ძიებითა საქმისა შენისადათ“. ⁽³⁾მაშინ წარვიდა მჭედელი იგი ქალაქად თვისად და ჰრქუა ალექსანდროს: „გვჭმს ჩუენ საჭმარად რკი-

1 მისი A
 2 თქუა A
 3 მჭედელსა A
 4 უფალო + და A
 5 მიჩუენოს A
 6 ცოდვად A
 7 ცოდვად A
 8 ბრძნად A
 9 არიან + და A
 10 თქუენ A
 11 მხადედ A

ნად სცილდა და მოღებად, წარვიდეთ [ახლად] კესარიად და მიერ ვიციდოთ ფასისა ჩუენისა რკინად“. დ ვითარცა მიიწინეს [ახლად] კესარიად, ჰრქუა მას მოძღუარ-მან მისმან: „მოგუალე და მოვიკითხოთ წმიდა გრიგოლი და თაყუანის-ვსცეთ და მოვილოთ ლოცვისა მისისაგან საგზლად ჩუენდა, რათა წარგვმართოს“.

(³)და ვითარცა შევიდეს წმიდისა გრიგოლისა¹, იწყო მუნთქუესვე² ალექსანდროს ცოფად სიტ(318v1)ყვთა სულელთაჲთა. ხოლო ვითარცა შე-ოდენ-ვიდოდეს კარ-სა სახლისასა, იხილა წმიდამან გრიგოლი, [რამეთუ] მთიები მბრწყინვალე წინა-უძლოდა ალექსანდროს[ს]. მაშინ ღალად-ყო წმიდამან გრიგოლი და თქუა: „აჰა კაცი დაშავებული პირითა და ბრწყინვალე სულითა, განათლებული მადლისაგან ზეცისაჲსა“.

(³)მაშინ განიყვანა იგი თვსაგან³ და დაადგინა იგი წინაშე ღმრთისა და აფუცებდა მას და ჰრქუა: „გაფუცებ შენ ღმერთსა, რომელმან გარდაართხნა ცანი, ვითარცა კამარანი⁽²⁶⁾, და დაიდგნა მას ზედა საყდარნი პატივად მისა და დაადგინნა მას ზედა ანგელოზნი ცეცხლებრ მოტყინარენი მსახურებად დიდებისა მისისა⁽²⁷⁾; და გაფუცებ მას, რომელმან დააფუძნა ქუეყანად წყალთა ზედა დასაბამსა დაბადე-ბისასა და ყო იგი სამკვდრებელად; და განიპყრნა ჭელნი თვსნი ჟუარსა ზედა და მოაქცინა კაცნი ცნობასა დამბადებელისასა, [ა]რა დამიფარო საქმე შენი, არამედ ვითარცა ჭეშმარიტად დაუბადები⁴ ღმერთსა, მაუწყე მე, ვითარცა [უ]კ[უ]ეთუ ბრძენი ხარ, – სიბრძნე, და უკუეთუ სულელი ხარ – სისულელი“. მაშინ ვითარცა ესმა ე(318v2)სე ალექსანდროს[ს], შეშინდა ფრიად ფიცხლისა მისგან ფიცისა, მი-უგო და ჰრქუა მას: „ჴ, უფალო ჩემო, რადსათვს გულს-იდგინე შეწუხებად მონისა შენისაჲ და გამოცხადებად საიდუმლოთა⁵ ჩემთა, რომელნი მცირე და საწუნელ არიან წინაშე უფლისა (³)და უმცირეს მისა, რომელი თანა-მაც ყოფად?“ მიუგო და ჰრქუა მას წმიდამან გრიგოლი: „მაუწყე მე ჭეშმარიტად, რომლისა ქუეყანისაჲ ხარ შენ და რად არს საქმე შენი?“ მაშინ გამოუცხადა მას ალექსანდროს ყოველი საქმე მისი და ჰრქუა მას: „უფალო ჩემო, ძე ვარი მე მაქსიმე[ლი]ანე⁽²⁸⁾ ჰრომისაჲ, ქალაქით ჰრომით მოსრული. რამეთუ ვითარცა აღესრულნეს მშობელნი ჩემნი, მრავალთა უკუე⁶ გულის-სიტყუათა შე[ვ]ვარდი, თუ ვითარ განერეს კაცი საბრჭე-თაგან ამის სოფლისათა და მიეახლოს იგი [ღმრთისა]⁽²⁹⁾ თანა და ვერაჲ ვპოვე გზად განსართმელი კაცისათვს, ვითარ სიგლახაკით ცხორებად სოფელსა ამას.

1 გრიგოლისა + და A
 2 მუნთქუესვე A
 3 თვსთაგან A
 4 დაუბადებიეს A
 5 სოიდუმლოთა A
 6 უკუე A

(³)და მუნთქუესვე¹ განვციდე ყოველი მონაგები მშობელთა ჩემთა და სოფლები და საცხოვარი და ოქროდ ფრიადი და ვეცხლი, [რომელი] დამიტევს მე მშობელთა ჩემთა, და შევკრიბე ყოველი(319r1)ვე იგი და განუყავ გლახაკთა. და შუდასი² მონად განვათავისუფლე დღესა შინა ერთსა, ყოველთავე მათ მივეც საცხოვრებლად მათა საფასე, რომელი ფართოებით ეყოფოდა მათ. (³)და მე გამოვირჩიე(³⁰) გზად ესე იწროდ და ვიდრე აქამომდე [ვ]ვალ მას შინა მსგავსად ძალისა ჩემისა. ხოლო უწყის უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან, რომელმანცა გამოუცხადა საიდუმლოდ ჩემი სიწმიდეს[ა] თქუენსა, რომელი ხედავს დაფარულთა და განმკითხველი არს გულისა და თირკუმელთად(³¹), ვითარმედ არა თუ სიქადულისათეს გამოგიცხადე³ საქმე ჩემი, არამედ შიშისათეს ფიცისა, რომლითა მაფუცე⁴ მე“. და კუალად ჰრქუა მას წმიდამან გრიგოლი: „მაუწყე მე, შვილო ჩემო, რომლისა მიზნისათეს აღირჩიე გზად ესე სისულელისაჲ სოფელსა შინა?“ მიუგო ალექსანდროს და ჰრქუა მას: „ამისთვის, უფალო ჩემო, რამეთუ ვიხილე სოფელი ესე შემცვალეებლად კაცთა ცხოვრებისა და ვცან ფრიად, ვითარცა არს⁵ – დღით მოაკლდების და არა აქუს სიმტკიცე სიყუარულსა მისსა; დღეს პატივ-სცემენ(³²) კაცნი და ხვალე შეურაცხყოფ(319r2)ენ; დღეს აქებენ და ადიდებენ და ხვალე ჰგმობენ და აგინებენ; დღეს აკურთხევენ და ულოცვენ და ხვალე სწყევენ და ჰბასრობენ. და ყოველნი კაცნი შეკურულ არიან სამითა საქმითა — რეცა თავით თვისით საქმესა ღმრთისასა იქმან(³³), (³)ხოლო არიან იგი ოდესმე კაცთა სირცხვლისათეს საჩუენებლად⁶, გინა შესაძინელ რაღსამე ჭორციელისა, გინა ძიებისათეს მთავრობისა და ჭელმწიფებისა. ამისთვის მე აღვირჩიე სიგლახაკე, რომლითა უფროდ შესაძლებელ არს ძლევაჲ სივერაგეთა ეშმაკისათა. რამეთუ გლახაკი უკუე[თუ] წარვიდეს გზასა, პოვიან იგი ავაზაკთა და ოდეს არა[დ] პოვიან მის თანა, შეიწყალიან იგი და ნაწილი[ცა] მისციან მათისა მისგან ბოროტად მოგებულისა“.

მაშინ, ვითარცა ესმა წმიდასა გრიგოლის, ფრიად დაუკვრდა და ჰმადლობდა ღმერთსა და თქუა: „გმადლობ შენ, უფალო ღმერთო ჩემო, რომელმან მომეც ჩუენ საფასე ესე უსასყიდლოდ კეცის ჭურჭლითა(³⁴) ამით, რომელი სულმან წმიდამან გამოირჩია ჭურად რჩეულად (319v1) და პატიოსნად კაცთათეს მწყსად სულთა

1 მუნთქუესვე A
 2 შუდისი A
 3 გამოგვცხადე A
 4 მეფუცე A
 5 ვა არი A
 6 საჩუენებლად A
 7 უკუე A

მათა“. ⁽³⁾მას ჟამსა წარადგინა იგი წინაშე ღმრთისა საკურთხეველად და მოსცა მას კურთხევა მღვდელთმოდურობისა და ჰრქუა მას: „წარვედ ამიერთგან, ძმაო, და დამწყსენ ცხოვარნი ქრისტესნი პირმეტყუელნი“¹. და კუალად ევედრა მას და ჰრქუა: „მნებაგს, რადთა ა[ღ]ხვდე⁽³⁵⁾სავანეთა და ასწავლნე ერსა სიტყუანი სულიერნი“. და აღვიდა იგი და ვითარცა ასწავებდა ერსა, განცვბრდეს ყოველნი კაცნი სიბრძნისაგან სიტყუათა მისთაგსა და ჰმადლობდეს ღმერთსა, რომელმან მისცის სიბრძნე მოყუარეთა თვსთა.

მაშინ წმიდამან გრიგოლი წარავლინა იგი მშუდობით და სიხარულით დაჯდომად საყდარსა თვსსა. და იგი ჰმადლობდა ღმერთსა და იტყოდა: „გმადლობ შენ, უფალო, რავდენნი წმიდანი დაფარულნი გისხენ შენ ქუეყანასა ზედა, რომელთა სისულელით შეურაცხ-ყოფიან თავნი მათნი წინაშე კაცთა და არიან იგინი დიდ წინაშე შენსა“. და ვითარცა წარვიდა ალექსანდროს შვილთა თვსთა თანა ქალაქად თვსა[დ]², შეიწყნარეს იგი სიხარულითა. ⁽³⁾მაშინ წმიდამან გრიგოლი შეკრიბნა გულის-სიტყუანი თვსნი და და(319v2)ვარდა იგი წინაშე ღმრთისა და ლმობიერად ევედრებოდა იგი ღმერთსა, ტირილით ილოცვიდა და იტყოდა: „უფალო, რომელმან დაჰბადე ქუეყანად და ყოველნი ბუნებანი ანგელოზთა და კაცთანი და ყოველნი მჭეცნი უდაბნოვანი და მფრინველნი ცისანი, ჯუარის-სახედ მფრინველნი ჰაერთა შინა, და თევზნი და ყოველნი ქუეწარმავალნი³, რომელნი იშუებენ⁴ სიღრმესა შინა წყალთასა და არა მოიშთვებიან; შენ, ღმერთო ჩემო, ოდეს-იგი ინებე და გამოჰზარდე ერი იგი ურჩი უდაბნოსა ზედა ორმეოც წელ პურითა, რომელი ჭელთაგან არა შეიქმნა; ⁽³⁾შენვე, უფალო ღმერთო, ოდეს-იგი წყალობით მოხედენ ადამის ნათესავსა და ცხადად მოხედენ განკურნებად უძღურებათა, ხუთითა პურითა განაძდენ ხუთათასნი უდაბნოსა ზედა; აწცა, უფალო, გმადლობს სული ჩემი, რამეთუ ვითარცა ყოველსა გონებასა⁽³⁶⁾ გნებაგს და განუმზადე საჭმარი მისი, ეგრეთვე, უფალო, მეცა, გლახაკსა ამას და ცოდვილსა, მომმადლე კაცი ესე ალექსანდროს მამხილებელად სულისა ამის ჩემისა ცოდვილისა. (320r1) უფალო, წყალობით მოხედენ მონასა შენსა ჟამსა ამას და მასწავე და მაუწყე მე, რომელი სათნო არს წინაშე ღ[მ]რ[თ]ეებისა შენისა, რადთა იგი აღვასრულო“.

.....⁽³⁷⁾

1 პირმეტყუელნი A
2 თვსა + და A
3 ქუეწარმავალნი A
4 იშუებენ A

.....

მაშინ მოიწია მისა ჭამა, რომელი ეტყოდა: „აღდეგ და წარიყვანე სამწყსო მენი და განვედ უდაბნოდ და მუნ დაიმაღენით, ვიდრემდის თანა-წარგდეს რისხვა იემი“. მაშინ აღდგა წმიდა იგი და წარიყვანა ყოველი ეკლესიისანი და განვიდა უდაბნოდ ბრძანებისა მისისაებრ.

[14] ვითარცა ესმა ესე მთავარსა მას უშჯულოსა, რომელი ყო წმიდამან გრიგოლი, აღეგზნა იგი გულის-წყრომითა და წარავლინნა მრავალნი მჭედართაგანნი ძიებად მისსა, რადთა მოიყვანონ იგი მისა. ვითარცა განვიდეს მჭედარნი იგი უდაბნოდ ძიებად მათდა, ხოლო წმიდა ესე და მღვდელი მისნი იყვნეს წინაშე მისსა ქუაბსა შინა ერთსა. მაშინ მოუვლინა ღმერთმან [ჩუენებად] და დაუყვნა გონებანი მათნი ბუნებასა თანა ⁽³⁾და იხილნეს იგი[ნი], ჰგონებდეს ხეოვანსა და ვერ გულის-ჭმა-ყვეს, ვითარმედ კაცნი არიან და მოიქცეს მუნვე მთავრისა მის უსჯულოვსა და პრქუეს მას: „მო(320r2)ვ[ვ]ლეთ ჩუენ ყოველი უდაბნოდ და აღვიხილენით ყოველნი ქუაბნი¹ და არა ვპოვნით იგ[ი]ნი, არამედ ხევ[ნ]ები დანერგულეები ვპოვეთ ქუაბსა შინა ერთსა“. ⁽³⁾ხოლო ესმა რად ესე კაცთა მორწმუნეთა მჭედართა მათგან, გულისჭმა-ყვეს, ვითარმედ ხე ყოვლადვე არა არს და არცა იპოების უდაბნოსა მას შინა, არამედ წმიდა იგი ყოფილ არს მღვდელთა თუსთა თანა და ხედ იხილნეს და მას ზედა ჰმადლობდეს ღმერთსა, რომლმან დაუყვნა თუალნი უსჯულოთანი და ვერ იხილნეს წმიდანი იგი.

[15] და შემდგომად მცირედთა დღეთა მოკუდა უსჯულოდ იგი მეფე² და იქმნა წმიდა ეკლესიად მშვიდობასა შინა დიდსა და სიხარულსა. მაშინ მოიქცა წმიდა გრიგოლი სამწყსოთ მისითურთ წმიდად ეკლესიადვე დიდითა სიხარულითა. მაშინ გამოწულილვით³ გამოიძია წმიდამან გრიგოლი ყოველი იგი ქალაქი და არა პოა ურწმუნოდ სახლსა ქრისტესსა თვნიერ აჩვდმეტისა სულისა. და ჰმადლობდა მას ზედა ქრისტესა და თქუა: ⁽³⁾„დიდება და მადლობად ყოვლისა(320v1)მპყრობელსა ღმერთსა, რომელმან რაჟამს მყო⁴ მე ქალაქისა ამის მწყსად, არა ვპოე მას შინა თვნიერ აჩვდმეტისა სულისა ქრისტეს მორწმუნისა. აწ ესერა არა დარჩომილ

1 ქუაბანი A

2 მეფე A

3 გამოწულილვითი A

4 მყენა A

არს მას შინა თვნიერ აჩუდმეტისა სულისა, რომელთა არა ჰრწამს ქრისტე. აწ გვედ-
რები, ღმერთო ჩუენო, რადთა შეპრთნე ესენიცა ძმათავე თანა მორწმუნეთა მრავალ-
მონაწილეებითა შენითა და იყოს ეგრეთ“. მაშინ აღესრულა წმიდა გრიგოლი
სასწაულთა მოქმედი და მივიდა წინაშე ღმრთისა, ნათელსა მას დაუსრულებელსა.

და ესუა მას ძმად, სახელით თეოდორე¹, და ესეცა ებისკოპოსი იყო ქალაქსა შინა
პანტოქსასა². ესე აღექსანდროს, პირველ მოწსენებული, ფარულად წარვიდა იე-
რუსალემს³ ლოცვად, ვითარცა ერთი შეურაცხი კაცი, და განგებითა ღმრთისადთა
შეიპყრეს და დაადგინეს იგი პატრიაქად იერუსალემს⁴ ზედა თვნიერ ნებისა მისისა.
განსრულდა ცხორებაჲ წმიდისა გრიგოლისი, კეთილად მოღუაწისად მწყემსისა მის
კეთილისად კრავთა მათ ჩჩულთა პირმეტყუელთად⁵, რომელმან არა უდებ-ყო სამ-
წესოდ (320v2) თვისი, არამედ იღუაწა მოსწრაფედ და მოაქცინა მრავალნი სულ-
ნი მსახურებისაგან კერპთაჲსა. და აწ მეოხებითა მისითა ვევედრნეთ ქრისტესა,
რადთა მიწსნნეს განსაცდელთაგან ამის სოფლისათა და ღირს მყვენს მის თანა
მარჯუენით მისა დგომასა, რომლისად არს დიდებაჲ თანა მამით და სულით წმიდი-
თურთ აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.

1 თ-ე A

2 პანტოქს-სა A (=პონტოქსასა?)

3 იწრუსალემს A

4 იწრუსალემს A

5 პირმეტყუელთად A

შენიშვნები

- 1) ხელნაწერში ამ სიტყვის ყველა ასო-ნიშანი კარგად არ იკითხება, მელანია გადაბნული.
- 2) შდრ. 1 ტიმ. 2:4
- 3) ხელნაწერში აქ ახალი აბზაცია.
- 4) „უფალო“-ს დაქარაგმება ამ ხელნაწერში ყოველთვის ამ ფორმით ხდება. სხვა შემთხვევებს სქოლიოებში აღარ ვუთითებთ.
- 5) შდრ. ფსალ. 49:11
- 6) აქ ტექსტს აშკარად რამდენიმე სიტყვა აკლია, მაგრამ თვითონ ხელნაწერში ისეა, თითქოს გადამწერმა ეს ვერც კი შენიშნა.
- 7) აქ სირიულშია „მთა“.
- 8) გადამწერმა, როგორც ჩანს, ქარაგმა შეცდომით გახსნა. იქნებოდა „იკ-ხე“.
- 9) სირიულში პირიქით არის – ახალგაზრდა კაცს ჰქონდა ხელი ჩაკიდებული ძვირფასი სამოსელით შემოსილი ქალბატონისთვის.
- 10) შდრ. ფსალ. 7:17
- 11) აქ გვერდის ბოლოს მინაწერია: „აქა ფურცელნი შესცვლიან და ერთი გარდმოაქციე და იქ იძიე +“.
- 12) ხელნაწერში ამ სიტყვის დასაწყისი გადასწორებულია.
- 13) „და ღამესა ათევედა. მაშინ ეშმაკი იგი, რომელი თაყუანისიციემებოდა“ გამორჩენილია ძირითად ტექსტში, ფურცლის კიდებზეა მიწერილი. იქვე, იმავე კიდებზე ცოტა ქვემოთ განსხვავებული ხელით ისევ მიწერილია „ღამესა ათევედა“.
- 14) ხელნაწერში ეს სიტყვა გადასწორებულია.
- 15) „ცა“ ნაწილაკი ხაზსზემოდან არის ჩამატებული.
- 16) სირიულშია „მოსწავლე“.
- 17) ქართულ თარგმანში შეცდომაა. უნდა იყოს – „თუ მოწაფე (გრიგოლი), შენზე ძლიერია, მისი მოძღვარი / უფალი (ქრისტე), რამდენად უფრო ძლიერი იქნება?“
- 18) შდრ. „მე უფალმან აღვაშენენ დარღუეულნი“ (ებევ. 36:36).
- 19) სირიულშია „სხვამ“.

- 20) აქ გვერდის ბოლოში მინაწერია: „ესეცა შესცვლიან, ორნი ფურცელნი გარდმოყარენ და ესე იძიე ნიშანი ❖“.
- 21) ხელნაწერში ასეა.
- 22) ამ სიტყვის ბოლო მარცვალი ხაზსზემოდანაა ჩაწერილი.
- 23) შესაძლოა დედნის ტექსტში ეს სიტყვა გარკვევით არ იკითხებოდა.
- 24) „ხოლო მე არა შემირაცხიე ცოდვად“ ხელნაწერში ხაზსზემოთ და ორ სვეტს შუაა ჩამატებული.
- 25) ხელნაწერში ეს სიტყვა გადასწორებულია.
- 26) შდრ. ფსალ. 103:2
- 27) შდრ. ფსალ. 103:4
- 28) ქართულ ხელნაწერშია „მაქსიმეანე“, ხოლო სირიულში – „მაქსიმილიანე“.
- 29) ეს სიტყვა ქართულ ტექსტში გამორჩენილია, საგარდას გამოცემის მიხედვით აღვადგინეთ.
- 30) ხელნაწერში ამის შემდეგ ერთი მოზრდილი სიტყვა (ან რამდენიმე მოკლე სიტყვა) ამოშლილია.
- 31) შდრ. ფსალ. 7:10
- 32) ხელნაწერში ეს სიტყვა ცუდად იკითხება.
- 33) ხელნაწერში ეს სიტყვა შემეგ არის ჩამატებული უფრო მკრთალი ფერის მელნით.
- 34) შდრ. 2 კორ. 4:7
- 35) ხელნაწერში ეს სიტყვა გადაკეთებულია.
- 36) აქ ქართული ტექსტი ზუსტად არ ემთხვევა სირიულს.
- 37) ხელნაწერს აქ აკლია მე-11 და მე-12 თავები სრულად და მე-13 თავის უმეტესი ნაწილი.

ლექსიკონი

ასერგასი – ას ორმოცდაათი /// ვითარმედ საქმე მისი არს [დღესა] შინა ასერგასის ფოლა

აქლი – იდაყვის შიდა მხარე, სადაც მსხვილი სისხლძარღვი იხილვება (აქ) /// იხილა ძილსა შინა მისსა ყ[რ]მად ერთი, რომელსა აქლითა აქუნდა ტომარი ქართად

აღმოცთომა – წამოცდენა /// ოდესმე აღმოსცთეს მას სიტყუად სიბრძნისად

აღორძინება – გაზრდა, გამრავლება /// ვიდრემდის აღორძინდა მათ შორის ბოროტი და ძვრისზრახვად არამცირელი

აღქუმა – აღება, აყვანა /// და შენ ჯელითა შენითა აღიქუ წმიდად სახარებად

აჩვდმეტი – შვიდმეტი /// არა ვპოე მას შინა თვნიერ აჩვდმეტისა სულისა

აჰა / აჰა ესერა – აი / აი, ახლა /// რამეთუ აჰა, ცოლი და შვილნი უსხენ მას ფრიად გლახაკნი და უპოვარნი /// აჰა ესერა ღირს იქმენ შენ ხილვად ზეცისა სარწმუნოებასა

ბასრობა – დაცინვა, გაკიცხვა, შეურაცხყოფა, გმობა /// დღეს აკურთხევენ და ულოცვენ და ხვალე სწყევენ და ჰბასრობენ /// ყოვლადვე არა შეპრაცხა ეშმაკი იგი, არამედ განბასრა იგი

გამოწულილვით – დაწვრილებით, ზედმიწევნით /// მაშინ გამოწულილვით გამოიძია წმიდამან გრიგოლი ყოველი იგი ქალაქი

განგებად – ყოფა, გამართვა, მოწესრიგება /// ცხორებად და განგებად წმიდისა გრიგოლისი ეპისკოპოსისად [კესარიისა] ახლისად /// და ეგრეთცა მოვედ და განაგე სოფელი ჩუენი, რომელი დარღუეულა მდინარისა მისგან სასტიკისა

განრომა – ხსნა, გადარჩენა /// ვერად ვპოვე გზად განსარომელი კაცისათჳს

განრყუნილება – წახდენა, გაფუჭება /// და ფრიად მრავალსა განრყუნილებასა იქმოდა სოფელს ამას შინა

განსწორებული – თანაბარი, თანატოლი /// განიყვეს მათ ყოველი საფასე და მონაგები განსწორებული

განტევება – გაშვება /// აკურთხა სახელი მისი ებისკოპოსად და განუტევენა მღდელნი

განცვრება – გაკვირვება /// განცვრდეს ყოველნი კაცი სიბრძნისაგან სიტყუათა მისთადსა

განცხადებულად - ცხადად, აშკარად /// ტყუილი იგი განცხადებულად მამხილებულად [ექ]მნა ზაკუვასა მათსა

განძარცვა - გახდა /// მაშინ წმიდამან გრიგოლი მუნთქუესვე განძარცვა ზეწარი თვისი

განძვნება - გამწვავება, გაფიცება /// და განძვნდა შფოთი მათი ვიდრემდის ბრძოლისაცა

განჯღა - გავრცელდა /// მაშინ განჯღა ჰანბავი სათნობათა მისთად

განჯმობა - დაშრობა /// და განჯმა ტბად იგი

გარდაქცევა - გადაყრავება, გადანგრევა /// ვიდრემდის მცირედ ენება გარდაქცევად აბანოესა მის

გულის-სიტყუა - ფიქრი, განზრახვა, აზრი /// მრავალთა უკუე გულისსიტყუათა შექცვარდი /// წმიდამან გრიგოლი შეკრიბნა გულისსიტყუანი თვისნი

გულისგმის-ყოფა - გაგება, გაცნობიერება, ჩაწვდომა /// გულისგმა-ყავ, შ კაცო, რომელი ესე იხილე /// გულისგმა-ყო მუნთქუესვე

გულმოდგინება - მონდომება /// რაღსათუს გულს-იდგინე შეწუხებად მონისა შენისად?

